# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.


ოთხშაბათი, 17 მაისი. 2023 წ. №55 (9587) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


## ილონ მასკი: ჯორჯ სოროსს სურს, გაანადგუროს ცივილიზაცია, მას სძულს კაცობრიობა!!!





**„ჯორჯ სოროსი მაგნეტოს მაგონებს“**, – დაწერა „ტვიტერში“ ამერიკულმა მილიარდერმა და კომპანიების „ტესლას“ და „სფეისიქსის“ გენერალურმა დირექტორმა ილონ მასკმა. ამერიკელი მილიარდერის განცხადებას „ტვიტერის“ ერთ-ერთი მომხმარებელი გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ჯორჯ სოროსს კარგი განზრახვები აქვს, რასაც ილონ მასკი არ ეთანხმება.

**„თქვენ თვლით, რომ ისინი კარგი ზრახვებია. არ არის კარგი განზრახვები?.. მას სურს, გაანადგუროს ცივილიზაციის სტრუქტურა. სოროსს სძულს კაცობრიობა“**, – აღნიშნა ილონ მასკმა.

## ეს რომ ჩვენ გვეთქვა, ან გაგვეკეთებინა, მტრისას!..

იაროსლავ კაჩინსკი:

### ევროკავშირი ნამდვილად არასწორი მიმართულებით მიდის

---

### უნგრეთმა უკრაინისთვის მორიგი ტრანშის გამოყოფა დაბლოკა

3

## დოქსოპულო, შენ პატრონი გყავს?!

## აღარ ნაშავდა?!..



იხ. 3 გვ.



## ვინ არის ლევან ბერძენიშვილი?



ნიკოლოზ ჩხეტიანი:

6

### ზნედაცემული სიტყვით-მკვლელი №1



დიმიტრი ხუნდაძე:

## ფეხებზე მკიდია რუსულიც და ევროპულიც!..

2

### მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ქართველი!



პეტრე მამრაძე:

## სიმართლის პირდაპირ თქმას, ზოგჯერ გონიერების მოხმობა სჯობს

ქვეყანა ისევ ყურაწეული ბავშვის როლშია!

4

ნუგზარ ბ. რუხაძე

8

## ამერიკის საზოგადოება ბევრად უფრო ზნეობრივია, ვიდრე ჯო ბაიდენი!

### დიმიტრი ხუნდაძე:

# ფეხებზე მკიდია რუსულიც და ევროპულიც!..



## მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ქართველი!

**ოპოზიცია ხალხს სიმართლეს უმალავს. მათივე მხარდამჭერი საერთაშორისო ორგანიზაციის კვლევებითაც მათი რეიტინგი კრიტიკულ მინიმუმამდეა დასული, სამაგიეროდ ხალხისთვის ნათქვამი სიმართლე ხელისუფლების რეიტინგს ზრდის,** — ამის შესახებ მოძრაობა „ხალხის ძალის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, დიმიტრი ხუნდაძემ პარლამენტის სხდომაზე განაცხადა.

მისივე თქმით, აქედან გამომდინარე ნათელია, რომ სიმართლეს ალტერნატივა არ აქვს.

**„მოძრაობა „ხალხის ძალა“ სწორედ ამ პრინციპით დაფუძნდა. მიუხედავად იმისა, რომ მარტის დღეების მთელმა სიმწვავემ ძირითადად ჩვენზე გადაიარა, პრინციპებს არ ვღალატობთ და პოლიტიკურ მოღვაწეობას მხოლოდ სიმართლის თქმით ვაპირებთ“,** — განაცხადა დიმიტრი ხუნდაძემ.

ხუნდაძის შეფასებით, დღეს ქვეყანას ბევრი პოლიტიკური მეზღაპრე ჰყავს, რომლის მიზანი ხალხის ფსიქოლოგიური გაბრუება და არარეალობაში წარმოჩენაა. **„სოკრატე პოლიტიკოსებს ურჩევდა: „დაანახეთ ხალხს რეალობა და ხალხი თავად დაგეხმარებათ ქვეყნის მართვაში“. ოპოზიცია ხალხს სიმართლეს უმალავს“,** — განაცხადა დიმიტრი ხუნდაძემ.

ამასთან, დიმიტრი ხუნდაძის განმარტებით, რუსეთი იყო და სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ის პოლიტიკური მოთამაშეა, რომლის თითქოსდა უძლეველი იმიჯის შექმნაში თავად დასავლეთმა შეიტანა უდიდესი წვლილი.

**„იმის ნაცვლად, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დასუსტებული რუსეთისთვის საკადრისი ადგილი მიეჩინათ, ბოლო 20 წლის განმავლობაში განსაკუთრებულად გააძლიერეს. დასავლეთის შეცდომების მსხვერპლი აღმოვჩნდით ჩვენც და უკრაინაც. დღეს ჩვენ გვაბრალებენ, რომ ანტიდასავლურ რიტორიკას ვეწევით, არადა დასავლეთი ხშირად თავად ანტიქართულ რიტორიკას ეწევა, რამაც მათ მიმართ ქართველი საზოგადოების გაბრაზება გამოიწვია. კრიტიკას კი ანტიდასავლურ რიტორიკად ნათლავენ. ხელისუფლებას უტიფრად აბრალებენ და მსოფლიოს მოსახლეობას უყვებიან ტყუილებს, თუ როგორ აწამებენ და კლავენ ოროთახიან ლუქს პალატაში ექსპრეზიდენტ სააკაშვილს. სტრასბურგის სასამართლომ მერამდენედ დაამტკიცა ჩვენი სიმართლე. კარგია, რომ სტრასბურგი დამოუკიდებლობას ჯერ კიდევ ინარჩუნებს. საქართველოს მეორე ფრონტად ფორმირების არაერთი მცდელობა და მტკიცებულება მოვისმინეთ, მაგრამ ტყუილიაო, ჯიუტად იმეორებენ. ქვეყნის საომარ მოქმედებებში ჩართვის მცდელობაზე ალაპარაკდა მეზობელი თურქეთიც, რომელიც დღეს რთულ საარჩევნო პროცესშია და პრეზიდენტი აცხადებს, რომ მათ სამზარეულოში ვიღაც არის“,** — განაცხადა დიმიტრი ხუნდაძემ.

მისი თქმით, მავანნი ამბობენ, რომ საქართველოს მომავალი სხვის ხელშია, მაგრამ ეს არის ტყუილი და სხვისი მონობის, სხვაზე დამოკიდებულების გასამართლებლადაა მოგონილი.

**„როგორც აღმოჩნდა, საქართველოს არა მხოლოდ რუსეთის დასანქცირებას, არამედ საკუთარი მოსახლეობის დასანქცირებას სთხოვენ ფრენების აკრძალვით. საზოგადოებას წაუკითხავად გააპროტესტებინეს კანონი, რომელიც თავად საზოგადოებას აძლევდა საშუალებას, რომ მეტი სცოდნოდა, საიდან შემოდის და რაში იხარჯება ფული. ბიძინა ივანიშვილის ქველმოქმედება დემოკრატიის უკუსვლაა და სააკაშვილის ქუჩაში გამოტანილი განაჩენები — წინსვლა. ოჯახის, ეროვნული ღირებულებების, ტრადიციების, რწმენის აღიარება და პატივისცემა თურმე ევროკავშირში გაწევრიანების ხელის შემშლელი ყოფილა. საკუთარ ინტერესებზე ფიქრიც კი არ შეიძლება, არათუ ხმამაღლა საუბარი. რამდენი ტყუილი და უსამართლო ბრალდება უნდა მოვისმინოთ ქართული ოპოზიციისგან და ზოგჯერ, მათი უცხოელი პარტნიორი პოლიტიკოსებისგან? რამდენ უსამართლო ზეწოლას უნდა გაუძლოს ჩვენმა ქვეყანამ? ჩვენ არ ვაპირებთ დათმობას. ყველა ტყუილზე, ქართული იქნება ეს, თუ უცხოური, აუცილებლად გვექნება რეაგირება. ვიმოქმედებთ იმ დიპლომატიური ჩარჩოს გათვალისწინებით, რასაც ზოგადად პატივს ვცემთ, თუმცა ლოიალობის დრო არ არის. ჩვენ გვაქვს სამშობლო, რომლის მომავალიც მხოლოდ ჩვენს ხელშია. მავანნი კი ამბობენ, რომ საქართველოს მომავალი სხვის ხელშია. ესეც ტყუილია და მიმართულია სხვისი მონობის, სხვაზე დამოკიდებულების გასამართლებლად. ასეთი წარსული ჩვენ უკვე გქონდა და აღარ გვსურს. რაც უფრო ვძლიერდებით, მით უფრო ძლიერდება ზეწოლა ჩვენზე. ეს არ გვაშინებს, რადგან ძალა ხალხში და სიმართლეშია. ქართულ პოლიტიკაში სიმართლე ისეთ ბასრი და საჭირო არასოდეს ყოფილა, როგორც არის დღეს. იარლიყების მიკერება სიმართლეს ვერ ჩაახშობს. მთავარი არის, დრო და ისტორია რას იტყვის შენზე და არა ენა, რომელსაც არ აქვს ძვალი. ეს არის ის, რაც დიპლომატიური ენით მინდოდა მეთქვა, მაგრამ ახლა მათთვის, ვისაც ეს ენა არ ესმის და მაინც რუსეთუმეობაზე საუბრობს — ფეხებზე მკიდია რუსულიც და ისეთი ევროპულიც, რაც ჩემს ქვეყანას ვნებს. მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ქართველი. ყველგან, სადაც საჭირო იქნება და როგორც იქნება საჭირო, ისე დავიცავთ ჩვენი ქვეყნის ინტერესებს“!..**

### ირაკლი კობახიძე:

# სამწუხაროა, რომ რადიკალურ ოპოზიციასა და „სოროსის ფონდს“ შორის პირდაპირი კავშირი არსებობს



**„სოროსის ფონდი“ პირდაპირ არის ჩართული კამპანიაში, რომელიც კანდიდატის სტატუსის წინააღმდეგ წარმოებს, „სოროსის ფონდის“ მიერ ევროინტეგრაციასთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე მისვლა მმართველი გუნდის მხრიდან ალოგიკური იქნებოდა.**

„სოროსის ფონდი“ თავიდანვე იყო ჩართული იმ კამპანიაში, რომელიც წარმოებს კანდიდატის სტატუსის წინააღმდეგ. მათმა ევროინტეგრაციის ექსპერტმა პირდაპირ დადო დასკვნა იმის თაობაზე, რომ საქართველოს ივნისში კანდიდატის სტატუსი არ ეკუთვნოდა. ვიდრე კომისია, ევროპული საბჭო მიიღებდა გადაწყვეტილებას, მანამდე „სოროსის ფონდმა“ გამოაქვეყნა დასკვნა, რომლის მიხედვითაც, საქართველოს არ ეკუთვნოდა კანდიდატის სტატუსი. ანუ, ჩვენი მოქალაქეები ელოდებოდნენ კანდიდატის სტატუსს და ქართველი, თანამედროვეობის სერგო ორჯონიკიძე წერდა, რომ კანდიდატის სტატუსი არ ეკუთვნის საქართველოს. ასეთ დროს „სოროსის ფონდის“ მიერ ევროინტეგრაციასთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე მისვლა ჩვენი მხრიდან აბსოლუტურად ალოგიკური იქნებოდა. ახლაც იმავეს აკეთებენ.

მათ მიერ გამოქვეყნებული ეს დასკვნაც კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ „სოროსის ფონდი“ პირდაპირ არის ჩართული კამპანიაში, რომელიც კანდიდატის სტატუსის წინააღმდეგ წარმოებს. ტყუილს როდესაც ავრცელებენ, თითქოს არ სრულდება რეკომენდაციები, ნიშნავს სწორედ იმ კამპანიის გაგრძელებას, რომელიც რადიკალური ოპოზიციის მხრიდან წარმოებს კანდიდატის სტატუსის წინააღმდეგ. იცით, რომ პირდაპირი კავშირი არსებობს რადიკალურ ოპოზიციასა და „სოროსის ფონდს“ შორის. ეს არის სამწუხარო რეალობა, აქედან გამომდინარე, ჩვენი მხრიდან მათ ღონისძიებებზე მისვლა აბსოლუტურად ალოგიკურია“.

# ნაციონალები არიან სპეკულანტები და სახელმწიფოს მტრები!

მნიშვნელოვანი ჟესტია, რომ რუსულმა ავიაკომპანია „აზიმუტმა“ აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი ქვეყნების ჩამონათვალიდან ამოიღო, სპეკულაციის არავითარი საფუძველი არ არსებობს, თუმცა ვინც ცდილობს, რომ აჟიოტაჟი შექმნას ამ საქმის გარშემო, ისინი ცდილობენ სპეკულირებას იქ, სადაც ამის საბაბი არ არსებობს.

**„დღეს ეს ადამიანები სპეკულირებენ. აქედან ჩანს, რომ ისინი არიან სპეკულანტები. ვინც დღეს სპეკულირებს ამ საკითხით, ის არის სპეკულანტი და მეტი არაფერი. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ამ პოლიტიკური ძალის წარმომადგენლებმა შემოიღეს უვიზო რეჟიმი რუსეთის მოქალაქეებისთვის, თავს იწონებდნენ, პირდაპირ ლარსზე მიდიოდა მაშინდელი პრეზიდენტი სააკაშვილი და თავს იწონებდა იმით, რომ მასპინძლობდა რუსეთის მოქალაქეებს საქართველოში. ახლა ეს პოლიტიკური ძალა როცა ცდილობს, ისპეკულიროს ფრენების აღდგენით, ისინი არიან ჩვეულებრივი სპეკულანტები და სახელმწიფოს მტრები“,** — განაცხადა კობახიძემ.

ირაკლი კობახიძის თქმით, საქართველო არ მიიღებს სანქცირებულ ავიაკომპანიებს.

**„ჩვენ მოვისმინეთ უცხოელების განცხადებები, რომ არ უნდა მოხდეს სანქცირებული კომპანიების მიღება. ამას ჩვენ, რა თქმა უნდა, ვითვალისწინებთ და სანქცირებული თვითმფრინავები, კომპანიები, ბორტები არ იქნება მიღებული. აქედან გამომდინარე, ჩვენი მიდგომა იქნება შესაბამისობაში იმ მოცემულობასთან, რომელიც არის საერთაშორისო დონეზე დამკვიდრებული. სპეკულირებისთვის საფუძველი არ არსებობს, თუმცა რადიკალური ოპოზიციიდან ჩვენი ოპონენტები არიან სპეკულანტები და მოქმედებენ არა საკუთარი ქვეყნის ინტერესების კარნახით, არამედ სხვა ინტერესებით“,** — აღნიშნა კობახიძემ.

ამასთან, ირაკლი კობახიძემ უპასუხა ფრენების აღდგენასთან დაკავშირებით ოპოზიციონერ ელენე ხოშტარიას და გიორგი ვაშაძეს. კობახიძის თქმით, ისინი სპეკულირებით არიან დაკავებულები.

**„ვაშაძეს ჰყავს რუსი მდგმური საკუთარ ბინაში და ხოშტარია რუსეთის ხაზინიდან იღებს რუსულ რუბლებს. ეს ადამიანები დღეს სპეკულირებენ იმით, რომ აღდგა ფრენები რუსეთ-საქართველოს შორის. აქედანაც ჩანს, რომ ეს ადამიანები არიან სპეკულანტები“,** — აღნიშნა კობახიძემ.

# АЗИМУТ-მა ოკუპირებული აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი ქვეყნების სიიდან ამოიღო

**რუსულმა ავიაკომპანია Азимут-მა რუსეთის მიერ ოკუპირებული რეგიონები აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი ქვეყნების სიიდან ამოიღო. 15 მაისს, კომპანიის ვებგვერდზე რეგისტრაციისას მომხმარებელს შეეძლო პირადი მონაცემების შეყვანისას სხვა ქვეყნებთან ერთად აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთიც აერჩია.**

უკრაინის მიერ სანქცირებული ავიაკომპანია **Азимут**-ი 17 მაისიდან საქართველოსა და რუსეთს შორის ფრენების შესრულებას დაიწყებს. სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ცნობით, კომპანია **Азимут**-ი მოსკოვი-თბილისი-მოსკოვის მიმართულებით კვირაში 7 რეისს შეასრულებს. სააგენტოს ცნობით, დღეის მდგომარეობით, ეს კომპანია ევროკავშირის შავ სიაში არ იმყოფება.

სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ კომპანია **Азимут**-ისთვის ფრენების განხორციელებისთვის აუცილებელი ნებართვა 15 მაისს გასცა. რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებით, 2023 წლის 15 მაისიდან საქართველოს მოქალაქეები რუსეთში შესვლას ვიზის გაფორმების გარეშე შეძლებენ. პუტინის გადაწყვეტილებით, ასევე უქმდება 2019 წლის ივნისში გამოცემული ბრძანებულება, რომლითაც აიკრძალა საქართველოსთან პირდაპირი ფრენები.



# აღარ წაშავდა?!..

სათაურში გამოტანილი სიტყვების ადრესატის „მოღვაწეობის“ ტრაგი-კომიკურობის მთავარი ნიშანი, მთავარი მახასიათებელი ის გახლავთ, რომ ამ მძიმე შინაარსის ფრაზაში **ათიდან ცხრა ქართველი ზედმეტი დაფიქრების გარეშე გამოიცნობს, ვისზეა საუბარი** და ჩემს განწყობას სრულად გაიზიარებს.

**„განსხვავება ახლა და 2019 წელს შორის არის ის, რომ რუსეთი უკრაინაში შეიჭრა. ეს არის რუსეთის უპრეცედენტო შეჭრა მეზობელ ქვეყანაში, რათა გაენადგურებინა უკრაინის სუვერენიტეტი და იდენტობა. ეს არის მთავარი, რაც 2019 წლის შემდეგ მოხდა. არ ვიცი, რატომ უნდა მიესალმოს ვინმე ჟესტს, საჩუქარს ქვეყნისგან, რომელიც სასტიკი აგრესორია. ვფიქრობ, ეს ძალიან მნიშვნელოვანი შეკითხვაა“** – ეს, არც მეტი, არც ნაკლები, ამერიკის შეერთებული შტატების ვადაგასული ელჩის პასუხია ჟურნალისტის შეკითხვაზე, რომელიც, სავარაუდოდ, ასეთი შინაარსის უნდა ყოფილიყო: **თქვენი წინამორბედი 2019 წელს მძიმე შეფასებებს რომ აკეთებდა რუსეთის მიერ ფრენების გაუქმებასთან დაკავშირებით, ახლა, დღეის მდგომარეობით რა შეიცვალა, რა განაპირობებს თქვენს სრულიად საწინააღმდეგო პოზიციასო.**

როცა ვამბობ, „არც მეტი, არც ნაკლები“, ამით გაკვირვებანარევი აღშფოთების და თქვენ წარმოიდგინეთ, შეშფოთების გამოხატვასაც ვცდილობ იმასთან დაკავშირებით, რომ **ასეთ სიბრიყვეებს როშავს იმ სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენელი, რომელიც მთელ დასავლურ სამყაროს და ამ სამყაროს ნაწილად ყოფნის გულუბრყვილო მსურველებს მთავარ იმედად ეგულებათ მათი უსაფრთხოებისა და მსოფლიოში მშვიდობის დაცვის საქმეში.** კელი დეგნანის კვალიფიკაციის დაბალი დონე, არაკომპეტენტურობა და აქედან გამომდინარე, „თანამდებობისთვის შეუფერებლობა“ მის ზემდგომებს და მთლიანად აშშ-ის სახელმწიფო ადმინისტრაციას ვერ მოუხსნის პასუხისმგებლობას პარტნიორი სახელმწიფოს მიმართ მისი ოფიციალური წარმომადგენლის მხრიდან **არაერთგზის გამოვლენილი შეურაცხმყოფელი დამოკიდებულების გამო.**

კიდევ ერთხელ გავიმეორებ – ეს **ოცდამეერთე საუკუნის დოქსოპულო მთელი ქართველი ერის მიმართ პირადი შურისძიების დაუოკებელი ჟინითაა შეპყრობილი,** იმ ვერშესრულებული „საბრძოლო დავალების“ გამო, **რაც საქართველოში „მეორე ფრონტის“ გახსნის იძულებას გულისხმობს.** ვერც ქართველი ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების აყირავება რომ ვერ მოახერხა, „თავისი ნაძირალების“ ხელახლა აღსაზევებლად?! **ორი ირაკლისგან განსხვავებით, „შუქურა“ ხომ ციმციმ, კუნტრუშ-კუნტრუშით „გაუიმასქნებდა“ „საზარგაზნე ხორცს“?**

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია – **ეგ არაფერიო, საქართველოს 20% 2019-შიც ოკუპირებული რომ იყო და ახლაც ოკუპირებულიაო,** მერე რა, რომ თქვენთვის არაფერი შეცვლილაო. აი, „უკრაინის ოკუპაციისა და მისი სუვერენიტეტისა და იდენტობის განადგურების“ მცდელობაა საქმეო. საქართველოს ოკუპაცია საჰაერო მიმოსვლის მიუღებლობისთვის მიზეზი ვერ იქნებოდაო, უკრაინის ოკუპაციის მცდელობა კი, აპ-აპ-აპო... ფაქტობრივად, უაპელაციოდ გვიცხადებს, როგორ კადრულობთ და **საქართველოს ოკუპაციას და უკრაინის ოკუპაციის მცდელობას ერთმანეთს როგორ ადარებთ,** თუნდაც თქვენი გადმოსახედიდანო, **სად თქვენ და სად ისინიო.**

ჩვენი ოკუპაცია „ღობეს ჩხირი“ რომაა ზემოთ ციტირებული მარგალიტების ავტორისა და მისი უფროსებისთვის „ვაშინგტონის კრემლიდან“, კიდევ ერთი „შედევრიდან“ ჩანს - **„რუსეთის უკრაინაში, მეზობელ ქვეყანაში შეჭრა, უპრეცედენტო ამბავია“-ო.** თუ კელი დეგნანი არ ხარ, მსგავსს, როგორც არ უნდა ეცადო, ვერ მოიფიქრებ - „ნიჭი, ძამიკო, ნიჭი...“ ამ ქალბატონმა ან სიტყვა **„უპრეცედენტოს“** მნიშვნელობა არ იცის და „ტვინების ომის კლუბში“ საკუთარ რეკორდს კიდევ ერთხელ ხსნის, ან უნებლიეთ გაამჟღავნა „დიდი საიდუმლო“, რომ **საქართველოში შემოჭრა რუსულ-ამერიკული გარიგების (გავლენების გაყოფის დიდი გეგმის) ნაწილი იყო.** მართლაც მოხერხება უნდა – **რუსული ტანკების ორი შემოჭრიდან „მეზობელ სახელმწიფოში“ პრეცედენტად არც ერთის „რომ არ ჩაგითვლის“ „პარტნიორი“ სახელმწიფოს „დიპლომატი“(?).**

თან წერტილს რომ ვერ სვამს და სისულელეს სისულელეს რომ უმატებს? ერთ კითხვაზე პასუხში ამდენი როგორ უნდა შეგეშალოს? – **„უკრაინაში შეჭრილი სასტიკი აგრესორისგან საჩუქარი როგორ უნდა მიიღოო“.** ქალბატონი დეგნანის შეფასებებისა და დასკვნებისთვის ძნელია ეპითეტების მოძებნა. ეს ბრძნული აზრების საბადო „უთავმოყვარეო ქართველებს“ დედაშვილურად გვმოძღვრავს, რომ **საქართველოში შემოჭრილი რუსეთი 2019-ში არ იყო „სასტიკი აგრესორი“,** როცა მისი კოლეგა მთელი შემართებით უკიჟინებდა კრემლის მამებს, თქვე უსინდისოებო, ფრენებს როგორ კრძალავთო და **უკრაინაში რომ შეიჭრა მაშინ გახდა „სასტიკი აგრესორი“** და „საჩუქრის მიღება“ უკვე აღარ შეიძლებაო.

არის მეორე ვერსიაც – **საქართველოში შემოჭრილი აგრესორისგან „საჩუქრის მიღება“ მოსულა, ხოლო უკრაინაში შეჭრილი აგრესორისგან ისევ აპ-აპ-აპა...**

აღნიშნული მავანმა შეიძლება გამწარებულზე ნიშნის მოგებით ნათქვამად ჩამითვალოს. არამც და არამც - **1993-დან 2008-მდე, 2008-დან 2019-მდე და 2019-ის შემდეგაც არავის აზრად არ მოსვლია, რომ აგრესორისთვის სანქცია „ეკადრებინა“** (რუკაზე ძლივს რომ ჩანს, იმ საქართველოსთვის იმხელა გოლიათებმა აბა თავი როგორ უნდა შეიწუხონ?). **არც ჩვენგან მოუთხოვია არავის სანქციის დაწესება,** ანუ ოკუპანტთან ყველანაირი კავშირის გაწყვეტა, დავუშვათ, „მეგობრების“ მხრიდან დეფიციტის შევსებაში თანადგომის პირობით. პირიქით, **„გაგებით ეკიდებოდნენ“ რუსეთთან ეკონომიკური კავშირების გაფართოებას** და გაუგონარი **„გვერდში დგომა“ გამოიჩინეს, როცა ამ უკანასკნელმა ფრენების აკრძალვის გადაწყვეტილება მიიღო.** ბოლომდე გულახდილები რომ ვიყოთ – „მეგობრები“ **„სტატუს-კვოს“ დაფიქსირებაზე გადაერთნენ და ყველანაირად ცდილობდნენ, ჩვენი პრობლემები თავიდან აერიდებინათ** – ასეთია მწარე სიმართლე.

აი, **„მეზობელ უკრაინაში უპრეცედენტო შეჭრა რომ განახორციელა სასტიკმა აგრესორმა“,** სწორედ **მაშინ შეიქმნა ახალი რეალობა** მთელი მსოფლიოსთვის და მათ შორის, წლების განმავლობაში ყველასგან მიტოვებული საქართველოსთვის. უფრო მეტიც, საქართველოსთვის სხვებზე მეტადაც და თქვენ წარმოიდგინეთ, **მთელ ე.წ. დასავლეთზე მეტადაც** – თურმე ჩვენ, ოკუპირებულ ქვეყანას, **უნდა დაგვეწესებინა სანქციები,** თუნდაც საკუთარი მოსახლეობის ინტერესების საზიანოდ; **დემონსტრატიულად უნდა გაგვეგზავნა შეიარაღებული რაზმები,** როცა საკუთარ მოქალაქეებს მოხალისეებად შემოვლითი გზებით წასვლასაც უკრძალავდნენ; **მიგვეწოდებინა შეიარაღება,** ანუ შეგვექმნა ყველანაირი პირობა რუსეთის „მეორე ფრონტზე“ „წამოკიდებისთვის“, „რათა შევხიდებოდით უკრაინელ ქალებს და ბავშვებს ქართველი ქალებისა და ბავშვების სიცოცხლეებით“...

დანარჩენი იცით...

**ბიძინა დვალი**

15.05.2023 წ.

# ეს რომ ჩვენ გვეთქვა, ან გაგვეკეთებინა, მტრისას!..

## იაროსლავ კაჩინსკი: ევროკავშირი ნამდვილად არასწორი მიმართულებით მიდის



**ამის შესახებ პოლონეთის მმართველი პარტიის ლიდერი იაროსლავ კაჩინსკი სილეზიის ორდენის კონფერენციის მონაწილეებისთვის გაგზავნილ წერილში წერს.**

წერილში კაჩინსკი აკრიტიკებს ევროკავშირის კლიმატური კანონმდებლობის გამკაცრებისა და გადაწყვეტილებების მიღებისას კონსენსუსის პრინციპზე ნაწილობრივ უარის თქმის ინიციატივას.

**წლევანდელი კონფერენციის თემა იყო „რამდენი ევროპაა ევროკავშირში?“**

**„ამაზე პასუხი ასეთი უნდა იყოს: სულ უფრო და უფრო მცირე. რასაკვირველია, ვგულისხმობ ევროპას ტრადიციული გაგებით, ანუ ევროპას, რომელიც იზრდება სამი ტრადიციიდან: ბერძნული ფილოსოფია, რომაული სამართალი და იუდეურ-ქრისტიანული რელიგია“,** – წერს პოლონეთის მმართველი პარტიის ლიდერი. კაჩინსკის თქმით, ეს ძირს უთხრის ევროპული ცივილიზაციის ფუნდამენტურ ფასეულობებსა და პრინციპებს.

როგორც პოლონელი პოლიტიკოსი აღნიშნავს, დღევანდელი ევროკავშირი განსხვავდება იმ ევროკავშირისგან, რომელშიც პოლონეთი 2004 წელს გაწევრიანდა. ის მიიჩნევს, რომ ბრექსიტის შემდეგ გაზრდილია გერმანიისა და საფრანგეთის დომინირება, მოხდა „ბრიუსელის მიერ უფლებამოსილების მითვისება“, „შეუთანხმებელი პროცედურების ხშირი გამოყენება“ და „ორმაგი სტანდარტების გამოყენება“.

ამის მაგალითად კაჩინსკიმ მოიყვანა გერმანიის კანცლერ ოლაფ შოლცის ინიციატივა, ევროკავშირის ცალკეული გადაწყვეტილებების ერთხმად მიღების პრინციპზე უარის თქმის შესახებ, კერძოდ, საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების, ასევე საგადასახადო სფეროებში.

**„ევროკავშირი აშკარად არასწორი მიმართულებით მოძრაობს, მაგრამ ის, რომ ის ამ მიმართულებით განვითარდა, არ ნიშნავს, რომ ამისთვის წინააღმდეგობის გაწევა და ამის გამოსწორების მცდელობა არ შეიძლება“,** – წერს იაროსლავ კაჩინსკი.

## უნგრეთმა უკრაინისთვის მორიგი ტრანშის გამოყოფა დაბლოკა



**უნგრეთმა უკრაინისთვის ევროპის მშვიდობის ფონდიდან 500 მილიონი ევროს ოდენობის მორიგი ტრანშის გამოყოფა დაბლოკა,** – ინფორმაციას ამის შესახებ იტალიური სააგენტო „ანსა“ ავრცელებს. თანხის გამოყოფა მომავალ ორშაბათს იგეგმებოდა.

ეს ფონდიდან უკრაინისთვის გამოყოფილი სამხედრო დახმარების მერვე ტრანში იქნებოდა. როგორც იტალიური მედიასაშუალება თავის წყაროზე დაყრდნობით წერს, უნგრეთი ითხოვს გარანტიებს, რომ ევროპის მშვიდობის ფონდი შეინარჩუნებს თავის გლობალურ სტატუსს მომავალში და არ იქნება გამოყენებული მხოლოდ კიევის შეიარაღებისთვის.

## უკრაინაში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე გასკვანჩეს...



**უკრაინაში სამი მილიონი დოლარის ოდენობის ქრთამის აღებისას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ვსევოლოდ კნიაზევი დააკავეს,** – შესაბამის ინფორმაციას უკრაინული მედია ანტიკორუფციულ ბიუროსა და სპეციალიზებულ ანტიკორუფციულ პროკურატურაში არსებულ წყაროებზე დაყრდნობით ავრცელებს. საგამოძიებო მოქმედებები გრძელდება. უკრაინული მედიის ინფორმაციით, ჩხრეკა მიმდინარეობს უკრაინის უზენაესი სასამართლოს კიდევ 18 მოსამართლესთან. ამასთან, მედიაში ვრცელდება ინფორმაცია, რომ კნიაზევი ფულს იღებდა ოლიგარქ კონსტანტინ ჟევაგოს ინტერესებით მოქმედი პირებისგან.



## ქვეყანა ისევ ყურაწეული ბავშვის როლშია!

დაპირისპირებული პოლიტიკური ძალები ერთმანეთს რომ არ ინდობენ და საკმაოდ ხშირად, რომ იტყვიან, „დაუკრეფავშიც“ გადადიან, პოზიცია-ოპოზიციის ამგვარი ურთიერთობები დიდად გასაკვირი სულაც არ არის. გაცილებით უფრო ძნელი ასატანია მავან ოპოზიციონერთა ლანძღვა-გინების პროცესის დაუსრულებლობა და, ამასთან, ქვეყნის საზღვრებს გარეთ მოკავშირეების ძებნა, ვინც კვლავ ხელისუფლების სათავეში დააბრუნებს და ამისთვის არანაირი ბინძური ხერხების გამოყენებას არ ერიდებიან.

და მაინც, ამ შემთხვევაში ჩვენი განსჯის საგანი არც მათი ზნეობრივი სახე, მოუმწიფებელი პოლიტიკური გონება თუ არასაკადრისი ლექსიკაა, არამედ კოლექტიური დასავლეთის ზოგიერთი მაღალჩინოსნის თუ ცალკეული ქვეყნის ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწის მიერ ბოლო ხანებში საქართველოს ხელისუფლების მიმართ წამოყენებული ბრალდებებია!

საქართველოს თანამედროვე ისტორიისთვის ამ უმწვავესი საკითხების გასარკვევად, მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარეს, ბატონ პეტრე მამრაძეს მივმართეთ.

**ეს „43 პროცენტი“ და რატომ არ დაითქვა, ვთქვათ, „25“ ან „37“ პროცენტი?! ვის გაუგია, რომ შუალედურ არჩევნებში ვიღაც ქულების რაღაც ოდენობა დააგროვოს და მერე ადგეს და... სახლში წავიდეს?! მე უფრო ის მიკვირს, რომ ასეთი ულტიმატურული შინაარსისა და ფორმის დოკუმენტი თავად ევროპაში როგორ მომზადდა?!**

იმ დროს ძალიან ბევრნი პირად საუბრებში კითხვას სვამდნენ: გვინდა კი ისეთი მთავრობა და მას კიდევ დამატებული ჩვენივე შესანახი პარლამენტი, თუკი ქვეყანას ორად-ორი კაცი მართავს – საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი დეგნანი და ევროგაერთიანების მისიის ხელმძღვანელი ჰერცელი?!

მაგრამ ეს მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა, როდესაც ქართული ოცნების ხელისუფლებას ეყო პოლიტიკური ვაჟკაცობა და ცალმხრივად გავიდა ამ ხელშეკრულებიდან, რომელსაც ნაცმოძრაობა მანამდე საერთოდ არ შეერთებია, რადგან ხალხმა დაინახა მთავრობის მტკიცე ნების გამოხატვა და მისდამი ასეთი დამოკიდებულება, ელექტორატის უმრავლესობაში ეს განწყობა დღემდე შენარჩუნებულია. საკითხი ასე მინდა დავაყენო: დამისახელეთ ქვეყანა, სადაც ხალხს საკუთარი ხელისუფლება მოსწონს? ეს ხომ გამორიცხულია!

# პეტრე მამრაძე: სიმართლის პირდაპირ თქმას, ზოგჯერ გონიერების მოხმობა სჯობს

**– ბატონო პეტრე, საქართველოსთვის ამ უაღრესად მნიშვნელოვან დროს, როცა უნდა გადაწყდეს ქვეყნისთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატობის სტატუსის მინიჭების საკითხი, ზოგიერთი ჩვენი დასავლეთელი პარტნიორი, ხშირად საკმაოდ წონადი პოლიტიკური მოღვაწენი, არათუ მთავრობის გარე პოლიტიკის წარმართვის გზებს შეუპარავად გვკარნახობენ, არამედ შიდა საქმეებშიც სრულიად ღიად, დაუფარავად ერევიან! თქვენი აზრით, რაშია საქმე და რა არის ქვეყნის ასე აბუჩად აგდების მიზეზი?**

– ესაა კომპლექსური პრობლემა, იმიტომ რომ ცალკე უნდა განვიხილოთ, ასე ვთქვათ, მთლიანად დასავლეთი, როგორც ერთი მხარე და კიდევ ცალკე – ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების ცალკეული პოლიტიკოსები, რომლებიც, თავის მხრივ, ხშირ შემთხვევაში ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებულ პოლიტიკურ ძალებს წარმოადგენენ, რის გამოც მათ შორის აზრთა სხვაობა ძალიან დიდია. ხოლო რაც შეეხება მართლაც რომ აღვირახსნილ საინფორმაციო ომს, რომელიც საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ ბოლო თვეების განმავლობაში, განსაკუთრებით კი მას შემდეგ მიმდინარეობს, რაც ქვეყნის ექს-პრეზიდენტი სააკაშვილი, რძის ნაწარმთან ერთად, კონტრაბანდულად შემოიპარა ფოთში, ჩემს პრაქტიკაში უპრეცედენტო, გამაოგნებელი შემთხვევაა.

პოსტმოდერნისტული განმარტებით, ჭეშმარიტება არის ფარდობითი რამ, რომელიც იმაზეა დამოკიდებული, თუ რა განმარტებას აძლევენ მას. აქედან გამომდინარე: სწორედ ამ მიდგომით, რომელიც ხელს აძლევს სააკაშვილსა და მის მხარდამჭერებს, ჭეშმარიტების თავის სასარგებლოდ ინტერპრეტირება უადვილდებათ – ის წლების განმავლობაში ქადაგებდა, რომ, „ტელეკარტინკა“ ისე უნდა დადგა (**ანუ ხალხს სიმართლე ისე უნდა მიაწოდო – ო. ტ.**),როგორც გაწყობს და ამის გაკეთებას თუ შეძლებ, მერე აკეთე რაც მოგესურვება – ეს მისივე ტერმინოლოგიაა, რომელიც პირადად მსმენია. სწორედ ამიტომ იყო, რომ სააკაშვილს „ჭეშმარიტად პოსტმოდერნისტული პრეზიდენტიც“ კი უწოდეს.

აბა, დააკვირდით: ახლა, როცა მას კონკრეტული დანაშაულისთვის სრულიად კანონიერი სასჯელი აქვს მისჯილი, მას არავინ აშიმშილებს, არავინ ტანჯავს, შეურაცხყოფას არ აყენებს, ოროთახიან ლუქს-პალატაში მკურნალობს და თანაც ჭირვეულობს!

ეჭვგარეშეა, რომ ჭეშმარიტი დასავლური ღირებულებები სრულიად მისაღებია როგორც საქართველოს მოსახლეობისთვის, ისევე ხელისუფლებისთვის. ესენია: თავისუფლება, დემოკრატია, ადამიანის უფლებების დაცვა, კანონის უზენაესობა, შესაბამისად, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები და სხვა. მაგრამ, როდესაც სააკაშვილის, მისი ადგილობრივი მხარდამჭერებისა და უცხოელი ლობისტების მიერ აგორებულია ამხელა ანტისახელმწიფოებრივი პროპაგანდა, ამოქმედებულია ასეთი დიდი მასშტაბის მექანიზმი, ამას პროგრესული ძალების მხრიდან აუცილებლად სჭირდება სათანადო ადეკვატური პასუხის გაცემა, რაც ნაწილობრივ მოხდა კიდეც 30 აპრილს რესპუბლიკის მოედანზე.

**– თავად აქციის შესახებ რას იტყვით, რომელსაც ორგანიზატორებმა და ხალხმა „მოვდივარ!“ შეარქვეს და რომლის მონაწილეებს ზოგმა ვითომ პოლიტიკოსმა „სუნიანი მახინჯების“ შეკრება უწოდა?**

– მიზეზთა გამო პირადად მონაწილეობის მიღება ვერ შევძელი, მაგრამ შემდგომ, როცა ბევრ ჩემს ნაცნობ-მეგობარს, კოლეგას, სხვადასხვა პროფესიის, სტატუსისა და ასაკის მქონე ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენელს შევხვდი, მათი ერთსულოვანი აზრი ის გახლდათ, რომ ღონისძიებაში მონაწილეობა კიდევ იმ მიზნითაც მიიღეს, რათა მავანთათვის დაენახვებინათ: ჩვენც, ბატონებო, ამ ქვეყნის მოქალაქეები ვართ და ვიღაცებს არ აქვთ უფლება ჩვენს მაგივრად, ჩვენი სახელით ქვეყნას, ხალხს მიმართონ. დიახაც, ჩვენ ვარსებობთ და არავის არა აქვს უფლება ტელევიზიებით გამოსვლისას საკუთარი მოლანდებები ჩვენს ნააზრევად გაასაღოს! თანაც არსებითია, რომ ეს ღონისძიება არ იყო ხელისუფლების ორგანიზებული, მისი მოწყობის იდეა ხალხის წიაღში გაჩნდა, რომელსაც მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობისთვის უნდოდა საკუთარი ხმა გაეგონებინა, რაც გააკეთა კიდეც! ასევე, საერთო აზრი იყო ის, რომ ყველანი ყოველგვარი დესტაბილიზაციის წინააღმდეგნი ვართ, გვსურს მხოლოდ მშვიდობა და საკუთარი სუვერენიტეტის შენარჩუნება!

**– ამ კონტექსტში რატომ წამოიწია საკუთარი სუვერენიტეტის შენარჩუნების საკითხმა წინა პლანზე?**

– საქმე ისაა, რომ როდესაც საქართველოს ხელისუფლება გამოვიდა შარლ მიშელის იმ ავადსახსენებელი შეთანხმებიდან, რომლის კომენტარს აქ მხოლოდ იმის გამო არ მოვყვები, რომ ჩემს მრავალწლიან პოლიტიკურ საქმიანობაში მსგავსი (**აბსურდული**) კაბალური შინაარსის დოკუმენტი არა თუ არ შემხვედრია, ასეთის არსებობის შესახებაც კი არ მსმენია, ვიტყვი მხოლოდ, რომ ეს





**გვინდა კი ისეთი მთავრობა და მას კიდევ დამატებული ჩვენივე შესანახი პარლამენტი, თუკი ქვეყანას ორად-ორი კაცი მართავს – საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი დეგნანი და ევროგაერთიანების მისიის ხელმძღვანელი ჰერცელი?!**

იყო საქართველოს კონსტიტუციის ფეხქვეშ გამთელავი ქაღალდი. მაგრამ, ახლა არავინ – უპირველესად, ცხადია, ოპოზიცია – არ ამბობს, რომ ეს იყო კომპრომისი ქართული ოცნების მხრიდან, რომელიც არჩევნებში ელექტორატის 43 პროცენტზე ნაკლები მხარდამჭერის მოპოვების შემთხვევაში, ხელისუფლებიდან წასვლის პირობას სდებდა. საქართველოში ჭეშმარიტად სახელმწიფოს ინტერესებით მოქმედი ოპოზიცია რომ ყოფილიყო, ამის გამო პირველს მას უნდა აეტეხა მთელი ამბავი აშკარად დისკრიმინაციული პირობის გამო და თუნდაც ეთქვა: საიდან გაჩნდა

**– კარგა ხანია, ჩვენში ერთობ ყბადაღებულ თემად იქცა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის კელი დეგნანის, ჩვენი უმთავრესი პარტნიორი ქვეყნის წარმომადგენლის აშკარად არაკეთილმოსურნე ქცევა და ხელისუფლებისთვის იმპერატიული ტონით გარკვეული მითითებების მიცემა, რომლებსაც “რჩევების“ სახით შენიღბვასაც კი ნაკლებად ცდილობს. ყოველივე ეს ბუნებრივია, ხალხის დიდ გულისწყრომას იწვევს და ვითარებას გაუგებარსაც ხდის, მით უმეტეს, რომ რომელიც გნებავთ ქვეყნის ელჩი საკუთარი ხელისუფლების ნების გამომხატველია და თავისი ნება–სურვილით და ხუშტურებით ვერაფერს მოიმოქმედებს. მაინც, რა არის ამ ქალბატონის ასეთი მკვეთრი ფერისცვალების მიზეზი, მას ხომ უშუალო ხელმძღვანელობაც ჰყავს, რომელიც მუდმივად უწევს მონიტორინგს მის მოღვაწეობას და თანაც საქართველოში თავისი მისიის ბოლო დღეებს ითვლის?**

– ვინც კი პოლიტიკის გარკვეულ ნიუანსებს ყურადღებით აკვირდება, უეჭველად შენიშნავდა, რომ საქართველოში თავისი მოღვაწეობის პირველ ხანებში, ქალბატონი კელი დეგნანი იყო შესანიშნავი ალჩი, რომელიც ძალების დაუშურებლად მუდამ მხარში ედგა როგორც ხელისუფლებას და საქმიანი წრეების წარმომადგენლებს, ჯეროვან დახმარებას უწევდა ყველა მეტ–ნაკლებად მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას... მერე, როცა გარკვეულ მომენტში, მისმა მოქმედებებმა ერთობ არაკონსტრუქციული სახე მიიღო, რამაც საქართველოში დიდი გულისწყრომა გამოიწვია, ვაშინგტონმა ოფიციალურ განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქალბატონი დეგნანი, ისევე, როგორც ყველა სხვა ქვეყანაში წარგზავნილი ელჩი, ზუსტად იმ დავალებებსა და მითითებებს ასრულებს, რასაც სახელმწიფო დეპარტამენტიდან იღებს. აქ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ყოველივე ეს დროში ემთხვევა აშშ-ის საგარეო უწყებაში იმ დროისთვის უკვე კარგად ცნობილი მოხელის, ქალბატონ ვიქტორია ნულანდის დაბრუნებას, რომელიც ქალბატონ კელი დეგნანის უშუალო კურატორი გახლავთ. ეს ქალბატონი საქვეყნოდ გახდა ცნობილი კიევში მაიდნის მოვლენებში თავისი აქტიური მონაწილეობით, ღვეზელებისა და ორცხობელების საჯაროდ ჩამორიგებით და მსგავსი სხვა მოქმედებებით. იმ დროსაც იგი სახელმწიფო დეპარტამენტში მუშაობდა, ოღონდაც გაცილებით მოკრძალებულ თანამდებობაზე.

რაღაც მომენტში, ერთ-ერთი სოციალური ქსელით გამჟღავნდა ქალბატონ ნულანდის საუბარი უკრაინაში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩთან, რომელშიც იგი მას გარკვეული მოქმედებების მზა სცენარს კარნახობს. კერძოდ, ვთქვათ, „კლიჩკოს გადაეცით, რომ ტელეეკრანზე აღარ გამოჩნდეს, გამოიყენეთ იაცენიუკი, ის უფრო მომგებიანი სახეა“, შემდეგ **დედას აგინებს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ევროგაერთიანებას და ეს არც სახელმწიფო დეპარტამენტმა, არც თავად ვიქტორია ნულანდმა არ უარყვეს.** სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ასეთი ქმედება ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან თავისი ევროპელი მოკავშირეების, უკაცრავად და ფეხებზე დაკიდებას ნიშნავს. ამ სკან-

# ხშირად კომპრომისი აუცილებელია!

დალის აგორების მიუხედავად, სახელმწიფო დეპარტამენტს უკან მაინც არ დაუხევია და იუთუბზე დადებულ ელჩთან საუბრის ავთენტურობაც დაადასტურა და ყოველივე მომხდარისთვის შეეცადა ერთგვარი იუმორისტული ელფერი მიეცა!..

ისიც უნდა გითხრათ, რომ ეს ის ქალბატონი ნულანდია, რომელმაც ჩვენს დიპლომატებს, (გვარებს ვერ დავასახელებ), პირდაპირ უთხრა: „თქვენ უნდა იცოდეთ, რომ მიხეილ სააკაშვილი ჩემი პირადი მეგობარია!“ და ეს მაშინ, როცა ცნობილი ამერიკელი პოლიტიკოსები, დიპლომატები, ანალიტიკოსები სააკაშვილს პირდაპირ უწოდებდნენ „პატარა კავკასიური ქვეყნის შეშლილ დიქტატორს“. გარდა ამისა, **ბევრი** სახელიანი ამერიკელი მკვლევარი დაუფარავად წერდა სააკაშვილის რეჟიმის არათუ არადემოკრატიულობაზე, არამედ წარმოუდგენელ სისასტიკეზე, ქვეყანაში ყოველგვარი მოქალაქეობრივი თავისუფლებისა და უფლებების ფეხქვეშ გათელვაზე, ხალხის მორალურ და ფიზიკურ წამებებზე. ლინკოლნ მიტჩელი, ალექსანდრ ქუული, ჩარლ ფეგენქსი, უოლტერ რასელ მიდი და სხვა უდიდესი ავტორიტეტის მქონე ამერიკელი ანალიტიკოსები ერთხმად აცხადებდნენ, რომ სააკაშვილზე დიდი და ბოროტი მტერი საქართველოს არასდროს ჰყოლია. რომ ამ კაცმა, რომელიც პუტინის უშუალო დავალებას ასრულებდა, საქართველოს ჩაუხერგა გზა ნატოში გაწევრებაზე და ა. შ.

მეტიც: ისინი იმასაც უსვამდნენ ხაზს, რომ ამ მისიის შესასრულებლად პუტინს საქართველოში თავისი სპეცაგენტიც რომ გამოეგზავნა, სააკაშვილზე უკეთ ამ საქმეს თავს ის მაინც ვერ გაართმევდა! არც იმას ივიწყებენ, რომ ჯერ იყო და სამაჩაბლოში 2008 წელს ჩადენილი უკუღმართობების შემდეგაც კი ის და ბიძამისი, სუკის გენერალი ალასანია არ დაშოშმინებულან და რაც საქართველოში მნიშვნელოვანი სტრატეგიული სამრეწველო ობიექტი იყო, ფაქტობრივად ყველა რუსეთულ კაპიტალის ხელში მოახვედრა!

ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, სავსებით ბუნებრივად იბადება კითხვა: განა როგორაა შესაძლებელი, რომ საქართველოს უმთავრესი პარტნიორი ქვეყნის საგარეო უწყების მაღალჩინოსანი ნაპრეზიდენტარ სააკაშვილს საჯაროდ „თავის პირად მეგობრად“ აცხადებს და ჩვენ, დიპლომატებს ამ გარემოებისადმი საგანგებო მიდგომას გვთხოვს?

პირადად ჩემთვის კულმინაციური მომენტი იყო, ტელეარხ „იმედზე“ ქალბატონი კელი დეგნანის ინტერვიუ. როცა წამყვანმა



ჩვენ გულდასმით შევისწავლეთ ბიძინა ივანიშვილის პიროვნება და მისი ფულის წარმომავლობა და დავადგინეთ, რომ მის მიღმა არანაირი რუსული კვალი არ არსებობს!

სენატორი ჯოზეფ მაკკეინი

მას ჰკითხა: გასაგებია, რომ ქართველ მოსამართლეებს სანქციები დაუწესეთ, მაგრამ რის გამო, სადაა მათი დანაშაულებრივი ქმედებების დამადასტურებელი დოკუმენტები, მან უპასუხა, რომ ამ მტკიცებულებათა მოძიება ქართული მხარის საქმეაო, რაც სრულიად გაუგებარი და გაუგონარი რამ არის!

ვთქვათ, უკრაინის მთავრობისგან დიდი ხანია არაფერი მიკვირს, რომელიც არა მარტო საქართველოში სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობა დაკისრებულ პირთა თავშესაფარი გახდა, არამედ ისინი მეტად პასუხსაგებ სახელმწიფო თანამდებობებზეც გაამწესა და საქართველოსადმი აშკარად არამეგობრული ქმედებით გამოირჩევა. ჩვენი მხრივ კი, საქართველოს მხოლოდ იარაღი არ მიუწოდებია უკრაინისთვის, საერთაშორისო სანქციებს არ მიერთებია და არც ოფიციალურად სამხედროები გაუგზავნია უკრაინაში რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად, თორემ სხვა ყველა საერთაშორისო ფორუმზე ღიად განვაცხადეთ მისი მხარდაჭერის შესახებ და ევროპის საბჭოსა და გაეროში ხმა მივეცით უკრაინის მხარდასაჭერად, მისთვის ჰუმანიტარული დახმარების ერთ–ერთი ყველაზე დიდი მიმწოდებელი ვართ, ლტოვილთათვის განსაკუთრებული პირობების შემქმნელები.

მეტიც: პირადად ჩემთვის რომ ეკითხათ, მე წინააღმდეგი ვიქნებოდი ჰააგის საერთაშორისო სასამართლოსთვის რუსეთის ამჟამინდელი ხელისუფალთა გადაცემისთვის მხარდაჭერისა. დააკვირდით: ამ მოსაზრებას მსოფლიოში მხოლოდ 39 ქვეყანა, მათ შორის საქართველოც შეუერთდა, დანარჩენმა 154-მა ამის გაკეთებისგან თავი შეიკავა. ამის მიზეზი კი ისაა, რომ იმ ქვეყნისთვის, სადაც ისევ სააკაშვილის მიერ მოყვანილი რუსეთის ტანკები დედაქალაქიდან სულ 30 კილომეტრის მოშორებით დგანან, ეს უაღრესად სარისკო ნაბიჯია, რადგან მისი მხრიდან სამხედრო მოქმედებების სავარაუდო დაწყებასაც რომ დავანებოთ თავი, ამ ჯავშანტექნიკამ მარტო იგოეთთან რომ გა-



ნაცმოძრაობის ვერც ერთი რეფორმა არათუ წარმატებით ვერ განხორციელდებოდა, რამდენადმე ხელშესახებ შედეგსაც ვერ მიაღწევდა, რომ არა ბატონ ბიძინას მხარში ამოდგომა – ეს ეხება საბაჟოს, თავდაცვის, შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებს, საყოველთაო ჯანდაცვასა და ა. შ. და ეს მოხდა იმ პირობებში, როცა სახელმწიფო ხაზინა, ფაქტობრივად, ცარიელი იყო და ყველაფრის ფულს ივანიშვილი იხდიდა!

დაინაცვლოს და სატრანსპორტო მიმოსვლა შეგვიწყვიტოს, ქვეყანა კოლაფსში აღმოჩნდება.

ახლა მე საჯაროდ ვუსვამ კითხვას ქალბატონ კელი დეგნანს: უკრაინას, რომელზეც რუსეთის სამხედრო შეტევა კვლავაც გრძელდება, **ბელორუსიიდან** თავისი ელჩი საომარი მოქმედედების დაწყების შემდეგაც არ გაუწვევია, საქართველოდან კი ის რაღაც მოგონილი მიზეზით გაიხმო!.. განა რის გაკეთება შეუძლია კიდევ ჩვენს ქვეყანას უკრაინის მხარდაჭერის გამოსახატად? რუსეთთან ომის დაწყება უდიდეს ტრაგედიას გვიქადის მთელ ერს, ეკონომიკური სანქციების დაწყება კი სპილოსთვის კოღოს ნაკბენის ტოლფასიც ვერანაირად ვერ იქნება. ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ ევროპისა და ამერიკის დაახლოებით 550 უდიდესი კომპანია, მილიარდიანი ბრუნვებით განაგრძობს აგრესორ რუსეთთან საქმიან პარტნიორობას, რის შედეგადაც ორივე მხარე უზარმაზარ მოგებას ნახულობს. უკრაინაში ომის დაწყებიდან ერთ წელზე მეტი დრო გავიდა და ამ ხნის განმავლობაში ევროპის ქვეყნები რუსეთისთვის, მარტო გაზსა და ნავთობში, 100 მილიარდ დოლარზე მეტი აქვთ გადახდილი...

**– ეს ყოველივე კი გასაგებია, მაგრამ განა ყველაფერი ვიქტორია ნულანდის ხელშია? მას ხომ ჰყავს თავისი უფროსები, ხელმძღვანელობა, სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი ბოლოს და ბოლოს?! განა მას არავინ აკონტროლებს?**

– ცხადია, აკონტოლებს, მაგრამ აქ უნდა ვთქვათ ერთი მეტად არასასიამოვნო რამ. აბა, გავიხსენოთ, როგორ იწყებოდა ყველაფერი და როგორ ვითარდებოდა მოვლენები: 2011 წელს, როცა ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა საჯაროდ განაცხადა – პოლიტიკაში მოვდივარო, რა თქმა უნდა, საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით, მალევე დაიწყო, ვანო მერაბიშვილის უწყების მხრიდან, მისივე, ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, „გატისკვა“: თავად არ მალავდა – როგორც ბადრი პატარკაციშვილი „გავტისკე“, ისე მოუვა ბიძინა ივანიშვილსაცო. დაიწყო „ქართუ ბანკზე“ არნახული შეტევა – მარტო მისი სპეცმანქანიდან 4 მილიონი დოლარის გატაცება რად ღირს! მაგრამ, ბანკს ხალხმა დაუჭირა მხარი, ბოლო დანაზოგი თუ შემონახული ფული შეჰქონდა „ქართუში“ და ეს ამბავი უცხოელმა ელჩებმა რომ შეიტყვეს, მაშინვე ითქვა, რომ სააკაშვილის საქმე ხელიდან წასულიაო!.. როცა ფონდ „ქართუს“ ოფისში ყველა კომუნიკაცი გამორთეს და შეჭრას აპირებდნენ, ევროკავშირისა და ნატოს წევრი 18 ქვეყნის ელჩი მივიდა იქ და მანამდე დარჩა, სანამ სააკაშვილის რეჟიმმა უკან არ დაიხია, და უსაფრთხოების გარანტია არ გასცა.

სააკაშვილს ჰყოფნიდა თავხედობა საჯაროდ დაედო ბრალი ბიძინა ივანიშვილისთვის, რომ ვლადიმერ პუტინმა მას რამდენიმე მილიარდი დოლარი მისცა მხოლოდ იმისთვის, რომ ამ რუსეთელ ოლიგარქს საქართველოში კანონიერი ხელისუფლება დაემხო!.. არადა, ნაცმოძრაობის ვერც ერთი რეფორმა არათუ წარმატებით ვერ განხორციელდებოდა, რამდენადმე ხელშესახებ შედეგსაც ვერ მიაღწევდა, რომ არა ბატონ ბიძინას მხარში ამოდგომა – ეს ეხება საბაჟოს, თავდაცვის, შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებს, საყოველთაო ჯანდაცვასა და ა. შ. და ეს მოხდა იმ პირობებში, როცა სახელმწიფო ხაზინა, ფაქტობრივად, ცარიელი იყო და ყველაფრის ფულს ივანიშვილი იხდიდა! ნურც ის დაგვავიწყდება, რომ სააკაშვილს დამარცხებული ამერიკის შეერთებული შტატების სენატის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, ვიეტნამის ომის გმირი სენატორი ჯოზეფ მაკკეინი, რომელიც თავის ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე ინფორმირებული ოფიციალური პირი იყო, საქვეყნოდ აცხადებდა: ჩვენ გულდასმით შევისწავლეთ ბიძინა ივანიშვილის პიროვნება და მისი ფულის წარმომავლობა და დავადგინეთ, რომ მის მიღმა არანაირი რუსული კვალი არ არსებობს! არადა, ბიძინა ივანიშვილისთვის რუსეთული ოლიგარქის იარლიყის აკვრაზე, ნაცმოძრაობის არაერთი, მსოფლიოში დღესდღეობითაც არაერთი ცნობილი ლობისტი მუშაობს, რომელთაც საქართველოს არა მხოლოდ პოლიტიკური ურთიერთობები აკავშირებს, არამედ სავსებით კონკრეტული ფინანსური ინტერესებიც გააჩნიათ.

**– მაინც რატომ ხდება, რომ ამდენი უცხოელი პოლიტიკოსი, სახელმწიფო მოხელე თუ პარტიული ფუნქციონერი, ყველაფრის მიუხედავად, მაინც აშკარა მხარდაჭერას გამოხატავს სააკაშვილის მიმართ და ამით არა თუ ჩრდილს აყენებს საქართველოს ხელისუფლებას, არამედ ხშირად პირდაპირ შეურაცხმყოფელ განცხადებებსაც აკეთებს?**

– ჩემი აზრით, ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მძლავრი ლობისტური ძალების მოქმედებაა და კიდევ ის, რომ ფართომასშტაბიანი პიარკამპანიებით წარმართულ დროში ვცხოვრობთ, როცა ყველა ცალკეული პიროვნება თუ პოლიტიკური ძალა, საკუთარი თავის მაქსიმალურად წარმოჩენას ცდილობს ყველანაირი ხელისშემშლელი პირობების არსებობის შემთხვევაშიც კი. გაიხსენეთ დიდი ბრიტანეთის ბოლო დროის ერთ-ერთი გამორჩეული პრემიერ-მინისტრი ბორის ჯონსონი, რომელმაც თანამდებობა, სკანდალების მთელ კასკადში გახვეულმა დაიკავა! ანდა იგივე ექს-პრეზიდენტი დონალდ ტრამპი, რომელმაც საქვეყნოდ განაცხადა, რომ რუსეთის პრეზიდენტის პუტინისა უფრო სჯერა, ვიდრე თავისი ქვეყნის 16 სპეცსამსახურის „ნაძირალა წარმომადგენლებისა“!!!

გაიხსენეთ: ოპოზიციაში იძულებითი გადასვლის შემდეგ, ნაცმოძრაობა და მასთან აფილირებული პოლიტიკური ძალები გამუდმებით რაღაც კონფერენციებს, ფორუმებს, საწვრთნელ შეკრებებსა და მსგავს თავყრილობებს მართავენ უცხოელ პარტნიორებთან ერთობლივად და საკუთარ პოზიციას, რომ იტყვიან, „ტვინში უნერგავენ“. საქმე იქამდეც კი მიდის, რომ პირადად ჩემთვის არაერთხელ სავსებით მიუკერძოებელ, პატიოსან უცხოელ სტუმარს უკითხავს: კი მაგრამ, ასეთი რეფორმების ჩამტარებელი ექს-პრეზიდენტი სააკაშვილი, ან ციხეში რატომ ზის, ან რატომ აწამებენო?.. ეს ხომ სრული ნონსენსია! მე ვპასუხობ, რომ ეს კაცი სასჯელს იხდის სავსებით კონკრეტული დანაშაულისთვის და 9 მილიონი ლარის გაფლანგვისთვის და მას კი არ აწამებენ, ოროთახიან ლუქს-პალატაში მკურნალობენ ერთ-ერთ საუკეთესო სამედიცინო დაწესებულებაში და დედამისი დღეში ორჯერაც ნახულობს, რაზეც ჩემი თანამოსაუბრეები ხშირად პირდაღებულები რჩებიან.

ამ ხნის განმავლობაში კი ქართულ ოცნებას მსგავსი აქტივობის გამოჩენის არათუ მცდელობა არ ჰქონია, არამედ მეტნაკლებად შესამჩნევი სურვილიც არ გამოუხატავს! ისინი იმ მოსაზრებით ხელმძღვანელობენ, რომ ჩვენ საქმე კარგად ვაკეთოთ და ის ყველაზე კარგი პიარი იქნებაო.

ასე არ არის საქმე, ბატონებო, სხვაგვარად მოქმედებაა საჭირო!

**– დაბოლოს, თქვენი აზრით, რა გზას უნდა დაადგეს ხელისუფლება, რომ არსებული ვითარება ქვეყნის სასიკეთოდ შეიცვალოს და გამუდმებით არ ვიყოთ „ყურაწეული ბავშვის“ როლში?**

– მე მახსენდება ჩვენი წინაპრების ერთი მეტად საგულისხმო შეგონება: არ ვარგა კაცი ყოველთვის მართალი იყოს, ზოგჯერ უმჯობესია გონიერება გამოიჩინოსო.

ეს თქმა თანამედროვე კატეგორიებზე რომ გადმოვიტანოთ,

...ცნობილი ამერიკელი პოლიტიკოსები, დიპლომატები, ანალიტიკოსები სააკაშვილს პირდაპირ უწოდებდნენ „პატარა კავკასიური ქვეყნის შეშლილ დიქტატორს.



შეიძლება ვთქვათ, რომ როცა ხარ პატარა, მსოფლიო რუკაზე ნომრით აღნიშნული ქვეყანა, რომელსაც ბოლო დროინდელი შესამჩნევი ფინანსური აღმავლობის მიუხედავად, მაინც ნულოვანი ეკონომიკა აქვს, როცა ექს–პრეზიდენტის მიერ ძალად მოყვანილი ტანკები აგერ ნახევარი საათის სავალზე დგას დედაქალაქიდან და ტერიტორიის მეხუთედი უზარმაზარი მეზობლის მიერაა ოკუპირებული, დაპირისპირებულ ძალებთან ურთიერთობისას გაცილებით მეტი მოქნილობის და სიფრთხილის გამოჩენა, გაცილებით მეტი კომპრომისის გამოძებნა გვმართებს.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ დიპლომატიის ხელოვნებაში ერთია საკუთარი სიმართლის მტკიცებულებისთვის სათანადო ფორმის მიცემა და მისი დაცვა და კიდევ სხვაა ისეთი ვითარებების შექმნა, რომ განსხვავებული აზრის წარმოშობის შემთხვევაშიც კი, ოპონენტს შენი თვალსაზრისის გაზიარების გარდა, სხვა გზა აღარ ჰქონდეს.

ისიც მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ უკვდავი მცნებების „ენა, მამული, სარწმუნოების“ შენარჩუნება ჩვენმა წინაპრებმა ისეთ ისტორიულ კატაკლიზმებში შეძლეს, რომლებსაც არათუ ბევრმა მცირე ერმა, ზოგმა მთელმა ცივილიზაციებმაც ვერ გაუძლეს!

ამის გაკეთება სრულიად შეუძლებელი იქნებოდა გონივრული კომპრომისების გარეშე.

ესაუბრა
**ოთარ ტურაბელიძე**

# ზნედაცემული სიტყვითმკვლელი №1





## ნიკოლოზ ჩხეტიანი: ვინ არის ლევან ბერძენიშვილი?

**ფონდი „ქართუს“ გამგეობის თავმჯდომარემ ნიკოლოზ ჩხეტიანმა 15 მაისს ლევან ბერძენიშვილთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა. მკითხველის თხოვნით მას უცვლელად გთავაზობთ:**

**„რამდენიმე დღის წინ ტელეკომპანია „მთავარის“ ეთერში ლევან ბერძენიშვილმა კვლავ მისცა თავს უფლება, უსამართლო ბრალდებებით თავს დასხმოდა ბიძინა ივანიშვილს და მისი მისამართით ცილისმწამებლური განცხადებები გაეკეთებინა. ვინაიდან ბერძენიშვილის მხრიდან მსგავსი ქმედებები სისტემატიურ ხასიათს ატარებს და ის გარკვეული პერიოდულობით იმეორებს ცრუ ბრალდებებს, როგორც ფონდ „ქართუს“ გამგეობის თავმჯდომარე, თავს ვალდებულად ვთვლი, საჯაროდ გავცე მას პასუხი.**

მიმაჩნია, რომ არც ლევან ბერძენიშვილი იმსახურებს გამორჩეულ ყურადღებას და არც ბატონ ბიძინა ივანიშვილს სჭირდება ჩემი დაცვა. გარდა ამისა, არც ბიძინა ივანიშვილის საქველმოქმედო საქმიანობის საზოგადოებისთვის შეხსენებაა დღეს ჩემი მიზანი, თუმცა, საჭიროდ მიმაჩნია, ბერძენიშვილის მიერ ბიძინა ივანიშვილის მოღვაწეობის დამახინჯებული შეფასების მაგალითზე საზოგადოებისთვის განვმარტო, როგორ ამახინჯებს ლევან ბერძენიშვილი დღევანდელობას, რაც იმის დასტურია, რომ მას საზოგადოებისთვის ისტორიის სწავლების არავითარი მორალური უფლება არა აქვს.

განვიხილოთ ბიძინა ივანიშვილისადმი ბერძენიშვილის ბრალდების ანატომია. „მთავარი არხის“ ხსენებულ გადაცემაში ბერძენიშვილმა განაცხადა, რომ ბიძინა ივანიშვილის პრინციპია, „მან იცის, როგორ იშოვოს ფული და იცის, როგორ არ უნდა იყოს ეს არანაირ ზნეობასთან დაკავშირებული“. ამას ბერძენიშვილი ამბობს ადამიანზე, რომელიც ათწლეულების განმავლობაში გვერდში უდგას ქართველ საზოგადოებას და სახელმწიფოს, რომელმაც სამ მილიარდ დოლარზე მეტი უანგაროდ დახარჯა საქართველოში განხორციელებულ საქველმოქმედო პროექტებზე, რომლებმაც საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფერო მოიცვა.

მრავალი წელია, ვმუშაობ „ქართუს“ სისტემაში და საკმაოდ ახლოს ვიცნობ როგორც თავად ბატონ ბიძინას, ისე მის ოჯახს. ვიცი რა ამ ოჯახის დამოკიდებულება ზნეობრივი ნორმების მიმართ, შესაძლოა, სხვებზე ცხადად ვხედავ ნასროლი ბრალდებების სიყალბეს. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ერთი კონკრეტული პირის მხრიდან გამუდმებული თავდასხმები და ცრუ მორალისტური კატეგორიებით აპელირება საკადრის პასუხს საჭიროებს.

პირველ რიგში, საზოგადოებას მინდა შევახსენო, რომ ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა საკუთარი ქონება შექმნა სხვა ქვეყანაში. სამშობლოში დაბრუნების დღიდან კი მან შეგნებულად შეწყვიტა მომგებიანი ბიზნესსაქმიანობა და მას შემდეგ ის უცხო ქვეყანაში შექმნილი ქონების საქართველოს სასარგებლოდ განკარგვით არის დაკავებული. ამის საილუსტრაციოდ რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითი მინდა, მოვიყვანო.

ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფუძნებულ ბანკ „ქართუს“ არასოდეს უწარმოებია აგრესიული საბანკო პოლიტიკა. ბანკ „ქართუს“ დაარსებიდან ცოტა ხანში ბიძინა ივანიშვილმა გამოისყიდა ამერიკელების მიერ დაფუძნებული და შემდეგ გაკოტრებული „აბსოლუტ ბანკის“ პასივები, რითიც მან ქართული საბანკო სისტემა თავის დროზე გარდაუვალ კოლაფსს გადაარჩინა. ბანკ „ქართუს“ ჰქონდა სრული რესურსი, აგრესიული საბანკო პოლიტიკა ეწარმოებინა და ის ნიშა დაეკავებინა, რომელიც დღეს ყველაზე რენტაბელურ ქართულ ბანკებს უკავიათ, თუმცა ბიძინა ივანიშვილმა ამგვარ პოლიტიკაზე თავიდანვე შეგნებულად თქვა უარი, რადგან მას ბანკი „ქართუ“ იმთავითვე არა ფინანსური მოგების მიღების, არამედ ქართული საბანკო სისტემის გამაგრების ინსტრუმენტად ჰქონდა მოაზრებული. აქტივების გარეშე დარჩენილი და გაკოტრებული „აბსოლუტ ბანკის“ პასივების გამოსყიდვა ამის ერთ-ერთი უტყუარი დადასტურება იყო. რამდენიმე წლის წინ ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა ბანკი „ქართუც“ საქველმოქმედო ფონდს გადასცა საკუთრებაში, რაც ასევე იმის დასტურია, რომ ის ბანკს მოგების მიღების ინსტრუმენტად არასოდეს მოიაზრებდა.





ანალოგიური მიდგომით შეიქმნა „თანაინვესტირების ფონდიც“. საზოგადოებას ახსოვს უამრავი სპეკულაცია და ცილისწამება ფონდის გარშემო. პოლიტიკურად ანგაჟირებული პირები ამტკიცებდნენ, რომ ფონდი იაფად ითვისებდა სახელმწიფო ქონებას, მიწებს და ასე შემდეგ, თუმცა საბოლოოდ გაირკვა, რომ ბიძინა ივანიშვილს მოგება არც „თანაინვესტირების ფონდის“ საქმიანობიდან მიუღია, რაც თავიდანვე მისი შეგნებული გადაწყვეტილება იყო. ყველა დასრულებული პროექტი, მათ შორის სასტუმროები, რომელთა მშენებლობა ქვეყანაში ტურისტული ინფრასტრუქტურის გაფართოებასა და ადამიანების დასაქმებას ისახავდა მიზნად, ბოლოს საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ გადაეცა, რითიც მკაფიო პასუხი გაეცა ყველა სპეკულაციასა და ცილისწამებას. ამჟამად განხორციელების პროცესშია „თანაინვესტირების ფონდის“ რამდენიმე მიმდინარე პროექტი და შესაბამისი პროექტების მიზნობრიობის შესახებ ინფორმაციაც ნებისმიერი ადამიანისთვის არის ხელმისაწვდომი.

**მთლიანობაში, როგორც ფონდ „ქართუს“ ხელმძღვანელმა და საქმეში სრულად ჩახედულმა ადამიანმა, თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ბატონ ბიძინა ივანიშვილს და მის ოჯახს საქართველოში განხორციელებული არცერთი პროექტიდან სახლში ერთი თეთრი მოგებაც კი არ წაუღია. ფონდში ჩემი მუშაობის 17 წლის განმავლობაში არ იყო არცერთი შემთხვევა იმისა, რომ ფონდის სახსრებით ივანიშვილების ოჯახს რაიმე სარგებელი მიეღოს. და ეს იმ ფონზე, რომ, საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ ხაზით, გასული წლების მანძილზე ბიძინა ივანიშვილმა 3 მილიარდი დოლარის ღირებულების ქველმოქმედება განახორციელა.**

აქვე მინდა, აღვნიშნო, რომ 3-მილიარდიანი ქველმოქმედება არ მოიცავს დახმარებას, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი საკუთარი ნათესავების, მეგობრებისა და ახლობლების სასარგებლოდ გასცემდა და დღემდე გასცემს. აღნიშნული დახმარებაც დიდ ფინანსურ ხარჯებთან არის დაკავშირებული და ბიძინა ივანიშვილს თავისუფლად შეეძლო, ეს დახმარებაც საქველმოქმედო ფონდის ხარჯებში შეეტანა. თუმცა, ამგვარ დახმარებას ბატონი ბიძინა ფონდისგან დამოუკიდებლად გასწევდა. მან პრინციპულად გაავლო ზღვარი ქველმოქმედებასა და ახლობლების დახმარებას შორის, რაც იმის ნათელი დასტურია, რომ არათუ „ფულის შოვნისას“, ფულის ხარჯვის დროსაც კი ბიძინა ივანიშვილი ყოველთვის განსაკუთრებულ ზნეობრიობას ავლენდა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ არაკეთილსინდისიერი ადამიანები ქველმოქმედების სარჩულს ხშირად იყენებენ კორუფციისა და ფულის გათეთრების შესანიღბად. რაც შეეხება ბატონ ბიძინა ივანიშვილს, მან ქველმოქმედებად საკუთარი ახლობლების დახმარების მოხსენიებაც კი არ დაუშვა, რაც ცხადყოფს, რომ ქველმოქმედების განხორციელებისას ის ყოველთვის ზნეობისა და მორალის უმაღლესი სტანდარტის შესაბამისად მოქმედებდა.

მოგეხსენებათ, 2020 წელს ბიძინა ივანიშვილმა ქვეყნის მასშტაბით მისი ოჯახის საკუთრებაში არსებული აქტივების უდიდესი ნაწილი გადასცა ფონდ „ქართუს“. ამაში შედის როგორც ბანკ „ქართუს“ აქციები, ისე „თანაინვესტირების ფონდის“ მიერ განხორციელებული ყველა საინვესტიციო პროექტი. შესაბამისად, ამ პროექტებიდან მიღებული შემოსავლები მხოლოდ საქველმოქმედო საქმიანობას მოხმარდება. მიმაჩნია, რომ ქველმოქმედების ეს უპრეცედენტო აქტიც ნათლად ასახავს ამ ადამიანისა და მისი ოჯახის მაღალ ზნეობრივ პრინციპებსა და დამოკიდებულებას ქველმოქმედებისადმი.

ბიძინა ივანიშვილის მიმართ ბერძენიშვილის კიდევ ერთი ცილისმწამებლური განცხადება კანაფის თემას უკავშირდებოდა. კერძოდ, ბერძენიშვილმა განაცხადა, რომ, თითქოს ბიძინა ივანიშვილი საქართველოს „კოლუმბიად“ გადაქცევას უპირებდა და მან ბიძინა ივანიშვილის მიერ „ფულის შოვნისას“ ზნეობრივი პრინციპების უგულებელყოფა სწორედ ამ საკითხს დაუკავშირა. ჩემთვის ცნობილია, რომ საქართველოში კანაფის წარმოების იდეა ნამდვილად ეკუთვნოდა ბიძინა ივანიშვილს. თუმცა, საუბარი იყო არა ნარკოტიკების წარმოებაზე, არამედ მხოლოდ სამედიცინო მიზნით კანაფის კულტივირებაზე, რასაც ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოგების მოტანა და ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის თვისებრივად გაზრდა შეეძლო. თუმცა, საქართველოსთვის ამგვარი პოტენციური სარგებლის ხელიდან გაშვების მიუხედავად, ბიძინა ივანიშვილმა უარი თქვა ინიციატივაზე, როგორც კი საკუთარი გუნდიდან წინააღმდეგობრივი რეაქციები მოისმინა. ეს ყველაფერი, ზნეობრიობასთან ერთად, ბატონი ბიძინა ივანიშვილის მართვის დემოკრატიულ სტილზეც მიანიშნებს.

**შეამჩნევდით ალბათ, რომ თავის საჯარო გამოსვლებსა და ლექციებში ლევან ბერძენიშვილი გამუდმებით თავს ესხმის ამა თუ იმ ისტორიულ მოღვაწეს და აუგად იხსენიებს მათ. მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ისტორიული მოვლენებისა და მოღვაწეების განხილვა ტაბუირებული უნდა იყოს და მათი ხსენება მხოლოდ სადღეგრძელოების ფორმატში უნდა ხდებოდეს. პირიქით, ისტორია ცოცხალი მეცნიერებაა, ის მუდმივ შესწავლასა და კვლევას საჭიროებს. მაგრამ ნამდვილი მეცნიერისა და**

**მკვლევარის ამოცანა რეალობის დადგენა და ჭეშმარიტების ძიებაა. ლევან გერძენიშვილის მხრიდან კი გამუდმებით ადგილი აქვს ამა თუ იმ მოღვაწის უსაფუძვლო ლანძღვას აუდიტორიის წინაშე.**

**სხვათა შორის, თავად ლევან გერძენიშვილს აქვს ნათქვამი: „საკმარისია, ერს მოაცილო მისი ისტორიული გმირები და ქვეყანაც აღარ დარჩება“. აქედან ჩანს, თუ რა მიზანს ემსახურება მის მიერ ჩვენი ერის ისტორიული გმირების გამუდმებული შეურაცხყოფა. ღრმად მწამს, რომ გერძენიშვილი სწორედ იმ ძალების დავალებით მოქმედებს, რომელთა მიზანია, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ქვეყანა აღარ დარჩეს“ და გარედან მართულ, ეროვნული იდენტობისგან დაცლილ ტერიტორიად და ხალხის მასად გადაიქცეს.**

**ლევან გერძენიშვილის ხელწერაა, ადამიანებზე ზუსტად იმის საპირისპირო ამტკიცოს, რაც ამ ადამიანებისთვის სინამდვილეში არის დამახასიათებელი. მან მოახერხა და ერეკლე მეორეს, რომელმაც სამშობლოსთვის უამრავი ომი გადაიტანა და ამ ომებში ათეულობით ჭრილობა მიიღო, მოღალატეობა დააბრალა. მან ასევე მოახერხა და დავით აღმაშენებელს, ილია ჭავჭავაძეს და აკაკი წერეთელს ცუდი მამობა, უნიჭობა და ამორალურობა დასწამა. აქედან ჩანს, რომ ისტორიის დამახინჯება ლევან გერძენიშვილის დავალებაა, რომელსაც ის ყოველგვარი ზნეობის გარეშე, თვალდახუჭული ასრულებს. გერძენიშვილს, რომელიც ყოველთვის გარედან მიღებულ მტრულ დავალებებს ასრულებს და საქართველოს ისტორიასა და დღევანდელობას შეგნებულად ამახინჯებს, არავითარი მორალური უფლება არა აქვს, დავით აღმაშენებელზე, ერეკლე მეორეზე, ილია ჭავჭავაძეზე, აკაკი წერეთელზე, ისევე, როგორც საქართველოს წარსულისა და დღევანდელობის სხვა მოღვაწეებზე ისაუბროს.**

როგორც ცდილობს ზნედაცემული ლევან გერძენიშვილი საქართველოს ისტორიის დამახინჯებას, ზუსტად ისევე ცდილობს ის დაამახინჯოს ჩვენი დღევანდელობა. ზუსტად ამის გამოვლინებაა, რომ ყველა თავის საჯარო განცხადებაში, რომელსაც გერძენიშვილი ასე უხვად აკეთებს, ის ცდილობს, ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე რამენაირად ჩირქი მოსცხოს და შეურაცხყოფა მიაყენოს ქველმოქმედ ადამიანს. ბიძინა ივანიშვილის ცხოვრებას და მოღვაწეობას თუ გადავხედავთ, ვერ ნახავთ იმის ერთ მაგალითსაც კი, რაშიც მას გერძენიშვილი სწამებს ცილს. პირიქით, ბიძინა ივანიშვილის ცხოვრების წესში ზნეობრიობის უამრავი კარგი მაგალითი შეგვიძლია ამოვიკითხოთ. იმის გათვალისწინებით, თუ როგორ იყენებს გერძენიშვილი სიტყვა „ზნეობას“, თავს უფლება მივეცი, ის ზნედაცემულ ადამიანად მოვიხსენიო.

კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ბიძინა ივანიშვილი არ საჭიროებს ჩემგან დაცვას, ლევან გერძენიშვილის საფუძველსმოკლებული თავდასხმები მას ვერაფერს დააკლებს. მაგრამ ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ამ ბრალდებებს აყენებს ადამიანი, რომელიც საკუთარ თავს საზოგადოებას განსწავლულობის ეტალონად წარმოუჩენს და ახალგაზრდობას ლექციებს უკითხავს, მათ შორის ჩვენი ისტორიისა და ლიტერატურის უმნიშვნელოვანეს წარმომადგენლებზე. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, მებადება კითხვა, თუ როგორ უნდა ვენდოთ ადამიანს ისტორიული ამბებისა და ასპექტების განხილვისას, როდესაც ის ჩვენს თვალწინ მუდმივად ამახინჯებს დღევანდელობას. ჩემი მიზანი იმის ჩვენებაა, თუ სინამდვილეში ვინ არის ლევან გერძენიშვილი, რა მორალისა და ზნეობის კაცია ის, ვინც დღეს ასე გამალებით ცდილობს ჩვენი ქვეყნის ისტორიის გაყალბებას.

**ისმის კითხვა, თუ რამდენად მისაღებია ისეთი ადამიანის „განმანათლებლობა“, რომელიც ასე თავხედურად ამახინჯებს ფაქტებს დღევანდელობაზე. როგორ უნდა გავყვეთ ლევან გერძენიშვილს მის ლოგიკაში ისტორიული ამბების გადმოცემისას, როდესაც მას აწმყოშიც არ დაეჯერება?“**

15 მაისი, 2023 წ



# მხატვრობით გაერთიანებული საქართველო

**13 მაისს მერაბ გერძენიშვილის სახელობის საერთაშორისო კულტურის ცენტრ „მუზაში“ საქართველოს კულტურის ფონდმა ჩვენი ქვეყნის ულამაზესი კუთხის გურიის მხატვრების ნამუშევართა გამოფენაზე მიგვიწვია.**

**კულტურის ფონდის ხელმძღვანელის აკადემიკოს თამაზ შილაკაძის თაოსნობაა, რომ საქართველოს თითოეულ კუთხეს გვერდით დაუდგეს კულტურულ და ინოვაციურ წამოწყებებში!**

საგამოფენო ცენტრ „მუზაში“ მომნუსხველ ფერთა პალიტრა დაგვხვდა. გამოფენილი გახლდათ გურიის სამივე რაიონის – ოზურგეთის, ჩოხატაურის და ლანჩხუთის 50-ზე მეტი მხატვრის ნამუშევრები.

**– ჩვენი მიზანია მთელი საქართველოს მხატვრები გავაერთიანოთ და ეტაპობრივად, თითოეული კუთხის შემოქმედთა ნამუშევრები წარმოგიდგინოთ. საქართველოს კულტურის ფონდი ამაყია, რომ ამ ეროვნულ საქმეში თავისი წვლილი შეაქვს და მხარში უდგას ჩვენი ქვეყნის რეგიონებს, განაცხადა თამაზ შილაკაძემ.**

**მან მადლობა გადაუხადა თითოეულ იმ პერსონას, ვისაც წვლილი მიუძღვის საქვეყნო საქმის კეთებაში და აღგვითქვა, რომ გურიას ფეხდაფეხ მოჰყვება სამეგრელო, კახეთი, იმერეთი, ქართლი, სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ა. შ.**

საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ გურამ ცერცვაძემ გულწრფელად მიულოცა გურიის რეგიონის მხატვრებს გამოფენის გახსნა.

მან ხაზგასმით თქვა, რომ რეგიონის მხატვრები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში. მათი ნამუშევრები წარმოდგენილია საქართველოს და საზღვარგარეთის მრავალ საგამოფენო სივრცეში. აქ წარმოდგენილი მხატვრები კი საქართველოს მხატვართა კავშირის წევრები არიან. სულ ცოტა ხნის წინ ჩამოყალიბდა საქართველოს მხატვართა კავშირის გურიის რეგიონის შემოქმედებითი კავშირი, რომლის ხელმძღვანელიც გახლავთ ბატონი თამაზ დარჩია. იგი გურიის კულტურის ფონდის თავმჯდომარე ავთანდილ თავართქილაძესთან ერთად საშვილიშვილო საქმეებს აკეთებს.

ივნისის დასაწყისში ეს გამოფენა გადაინაცვლებს მხატვართა კავშირის საგამოფენო სივრცეში, გალერეა „ოპიზარში“. კავშირის პირადი დაფინანსებით გაკეთდება კატალოგი, რომელშიც დაიბეჭდება გამოფენაზე წარმოდგენილი ყველა მხატვარი. კატალოგი უსასყიდლოდ გადაეცემა გურიის რეგიონს.

დამსწრე საზოგადოებას თავისი სიხარული გაუზიარა პოეტმა და პროზაიკოსმა, რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარემ **დავით შემოქმედელმა.**

**– ჩვენ დღეს საქართველოს ულამაზეს ყვავილს გურიას მივესალმებით. მის ფერებს, საოცარ მისტიკურ გარემოს, ეს გახლავთ კუთხე, რომელიც დიდი ექვთიმე თაყაიშვილის სულს ატარებს. მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინაც ეს კოლორიტი დღეს აქ გამოფინა. განსაკუთრებული მადლობა კულტურის ფონდის ხელმძღვანელს ბატონ თამაზ შილაკაძეს. იგი გახლავთ ღირსეული გამგრძელებელი მერაბ გერძენიშვილის საქმისა. გურია არის მხარე, რომლის წიაღში აღიზარდა მრავალი საამაყო ქართველი.**

გურიის მხატვართა კავშირის ხელმძღვანელმა **თამაზ დარჩიამ** აღნიშნა, რომ 30-წლიანი პაუზის შემდეგ გურიის მხატვრები მეორეჯერ ესტუმრნენ დედაქალაქს.

**– თბილისი არის ხელოვნების მექა, უკვე მეორედ ვიფინებით დედაქალაქში, ეს მნიშვნელოვანი დღეა ჩვენი მხატვრებისთვის, მინდა ყველა მათგანს მივულოცო გამოფენის გახსნა და მადლობა გადავუხადო მათ შრომისმოყვარეობისთვის.**

**განსაკუთრებული მადლობა კი ბატონ თამაზ შილაკაძეს ეკუთვნის, რომელმაც დაგვითმო ეს შესანიშნავი დარბაზი.**

**ავთანდილ თავართქილაძემ,** გურიის კულტურის ფონდის თავმჯდომარემ აღნიშნა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ამ გამოფენის მოწყობა.

**– დღევანდელი დღე ჩვენთვის ისტორიულია, პირველ რიგში მსგავსი შეხვედრები და ღონისძიებები მახარებს, როგორც რიგით ხელოვანს. უდიდესი მადლობა ბატონი მერაბ გერძენიშვილის სულს. მქონდა ბედნიერება და პატივი მეთანამშრომლა ამ გენიოსთან.**

**...დაუდგე გვერდით ნიჭსა და შრომას, დააფასო კულტურის, ხელოვნების მოღვაწეები, აგრძნობინო მათ რომ საქართველოს ძალიან სჭირდება მათი შემოქმედება, მართლაც მხოლოდ ღირსეული ადამიანების ხვედრია. სწორედ ასეთი ადამიანი გახლავთ მხცოვანი საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი თამაზ შილაკაძე, რომელიც ახალგაზრდებსაც კი გვაოცებს თავისი ენერგიულობით და მომავლის გეგმებით.**

**გურიამ კიდევ ერთხელ დაგვტოვა „გადარეული“ – ველოდებით ნიჭიერი საქართლველოს სხვა მხარეების ფერთა ზეიმს...**

**რუსუდან ქობულია**



# თეატრალებმა საჭირბოროტო საკითხებზე თელავში იმსჯელეს

**საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა, თეა წულუკიანმა ყოველწლიური გასვლითი სამუშაო შეხვედრა გამართა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელებთან. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე გოგი გეგეჭკორი, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი შალუტაშვილი და სამინისტროს წარმომადგენლები.**

შეხვედრაზე ისაუბრეს ქართული თეატრის წინაშე არსებულ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე. კულტურის მინისტრმა თითოეული სამხატვრო ხელმძღვანელისგან მოისმინა, რა პრობლემებია მათ თეატრებში და სამინისტროს მხარდაჭერით მათი მოგვარების საშუალებებზე იმსჯელა. შეხვედრაზე ისაუბრეს ისეთ საკითხზეც, როგორიცაა ახალგაზრდა მსახიობების დაინტერესება რეგიონების თეატრებით. ასევე, განიხილეს თეატრებში მიმდინარე და დაგეგმილი საპროექტო, სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოები, აღჭურვილობისა და საკადრო საკითხები, იმსჯელეს თეატრებისთვის სატრანსპორტო საშუალებების გადაცემაზე. შეხვედრაზე განიხილეს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის განახლებული სასწავლო პროგრამებიც. ეს ძალიან მნიშვნელოვანია თეატრების განვითარებისთვის, რადგან სწორედ აქ ყალიბდებიან ის პროფესიონალები, რომელთაც თეატრებში უნდა განაგრძონ საქმიანობა. კულტურის მინისტრმა გასული წელი დადებითად შეაფასა და გამოხატა მზადყოფნა დარჩენილი პრობლემების ეტაპობრივად აღმოსაფხვრელად.

შეხვედრის მონაწილეები ერთად დაესწრნენ თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლს **„ჩუმად, რეპეტიციაა!“**

# მესხეთი თეატრალურ ფესტივალს მასპინძლობს



მესხეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრში „ეროვნული დრამატურგიის VII თეატრალური ფესტივალი“ საზეიმოდ გაიხსნა. ფესტივალი თავისუფალმა თეატრმა გახსნა სპექტაკლით „მხოლოდ ხუთი დღე“. სპექტაკლი ირაკლი სოლომანაშვილის პიესის მიხედვით ახალგაზრდა რეჟისორმა თომა ათანელიშვილმა დადგა. წარმოდგენამ სრული ანშლაგით ჩაიარა.

**„ფესტივალის მთავარი მიზანი არის, რომ ჩვენი მაყურებლისთვის, ეს დიდი ზეიმი გვეჩუქებინა. ეს ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა. მაყურებელი, არამარტო საქართველოს სხვადასხვა თეატრების, არამედ საზღვარგარეთიდან ჩამოსული დასების სპექტაკლებს იხილავს“,** – აცხადებს მესხეთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ლია სულუაშვილი. ფესტივალი 2 ივნისის ჩათვლით გაგრძელდება და მასში მონაწილეობს 21 თეატრალური დასი საქართველოდან და უცხოეთიდან. ფესტივალს მესხეთის დრამატული თეატრი დახურავს.



# „ვაგნერი“ და პრიგოჟინი სუდანის ოქროსთვის იბრძვიან...

**სუდანის შეიარაღებულ ძალებსა და ქვეყნის გასამხედროებულ დაჯგუფებას შორის, უკვე რამდენიმე კვირაა, შეიარაღებული შეტაკება მიმდინარეობს. კონფლიქტის დასრულებას კი, ჯერ პირი არ უჩანს. გადავხედოთ ისტორიას, რატომ და როგორ წარმოიშვა ეს კონფლიქტი და ვინ არიან დაპირისპირებული მხარეები. სუდანი აფრიკის მესამე უდიდესი ქვეყანაა, რომელიც კონტინენტის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. მე-20 საუკუნის ბოლოს, სუდანის მოსახლეობის 80 პროცენტს მუსლიმები შეადგენდნენ. სწორედ, მაშინ დაიბუდა იქ რადიკალურმა ისლამმა. ქვეყანაში ალყაიდას მომხრეებიც გაჩნდნენ.**

2003 წელს, ქრისტიანებით დასახლებულმა სამხრეთის პროვინციამ, სუდანის სახელწიფოსგან გამოყოფა მოინდომა, რაც შეირაღებული კონფლიქტის მიზეზი გახდა. გაერომ და სხვა საერთაშორისო ორგანიზეციებმა, მაშინ, მოახერხეს კონფლიქტთან გამკლავება. 2011 წელს, სამხრეთ-სუდანი ქვეყანას გამოეყო და დამოუკიდებლობა გამოაცხადა. იმ დროს, 1993 წლიდან, სუდანს პრეზიდენტი ომარ-ალ-ბაშირი მართავდა. 2019 წელს, ქვეყნის გენერალიტეტმა სახელმწიფო გადატრიალება მოაწყო და კანონიერად არჩეული პრეზიდენტი გადააყენა. ალ-ბაშირის დამხობის შემდეგ, გენერლებმა გარდამავალი მთავრობა შექმნეს. 2021 წელს, ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა გენერალმა, აბდელ-ფატეჰ-ალ-ბურჰანმა და სწრაფი რეაგირების ძალების მეთაურმა, ასეთივე გავლენიანმა გენერალმა, მუჰამედ-ჰამდან-დაგალომ ხელახალი სახელმწიფო გადატრიალება მოაწყეს. ისინი მოსახლეობას დემოკრატიული რეფორმების გატარებას დაჰპირდნენ, მაგრამ დე-ფაქტო, ქვეყანა ორ ნაწილად გაიყო. ერთს ალ-ბუჰრანის მომხრეები მართავდნენ და მეორეს, დაგალოსი. ორი გენერალი ერთმანეთთან კავშირში იყვნენ და, თითქოს, ყველაფერი კარგად მიდიოდა. წელს, მათ ხელი უნდა მოეწერათ შეთანხმებაზე, რომლის მიხედვით, გენერლები სამოქალაქო პირებს დაუთმობდნენ ხელისუფლებას. დემოკრატიული რეფორმებიც იგეგმებოდა და არჩევნებიც უნდა ჩატარებულიყო. უფრო მეტიც, უნდა მომხდარიყო გენერალ დაგალოს სამხედრო ნაწილებისა და სუდანის შეიარაღებული ძალების შერწყმა.

ხელშეკრულების ხელმოწერა აპრილის შუა რიცხვებში იყო დანიშნული, მაგრამ გენერალი დაგალო უპირობოდ არ წავიდა ასეთ ღონისძიებაზე. მან მოითხოვა, რომ სამხედრო დანაყოფების შერწყმა 10 წლის განმავლობაში განხორციელებულიყო, რამაც კამათი გამოიწვია, რაც, ბოლოს, შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა. 15 აპრილს, არმიამ დედაქალაქ ხართუმის მიმდებარე დასახლებაში, სწრაფი რეაგირების ძალების ბაზებს მასირებული საჰაერო დარტყმები მიაყენა, რასაც შესაბამისი პასუხი მოჰყვა. შეტაკებები მთელს სუდანს მოედო. დახოცილი და დაჭრილია ათასობით ადამიანი. ქვეყანა სამოქალაქო ომის საშიშროების წინაშე დგას.

დასავლელი ანალიტიკოსები მიუთითებენ, რომ გენერლების ერთმანეთთან შეურიგებლობაზე გავლენას ქვეყნის გარე ძალები ახდენენ. არიან სახელწიფოები, რომელთაც სუდანში შექმნილი მდგომარეობა ხელს აძლევს. ზოგი შიშობს, რომ სუდანის არასტაბილურობა მთელს რეგიონში დაძაბავს მდგომარეობას. კონფლიქტის ერთ-ერთ მხარეს იარაღით რუსეთი ამარაგებს, რომელმაც ამ ქვეყანაში, უკვე რამდენიმე წელია, გვარიანად მოიკიდა ფეხი.

ჯერ კიდევ, პრეზიდენტ ალ-ბაშირის მმართველობისას დაუახლოვდა სუდანი რუსეთს, რომელიც აქ სამხედრო ბაზის გახსნას აპირებდა. სუდანში იმყოფებიან კერძო სამხედრო კომპანია ვაგნერის მებრძოლები. „ვაგნერი“ და მისი მეთაური პრიგოჟინი, სუდანის ოქროს საბადოებით არიან დაინტერესებულნი. ვაგნერს კარგი ურთიერთობა აქვს გენერალ დაგალოსთან. გენერალ აბდელ-ალ-ფატაჰს კი, მხარს ეგვიპტე უჭერს, რომლის ხელმძღვანელობამ უკვე განაცხადა, რომ სუდანის დესტაბილიზაცია ეგვიპტის უსაფრთხოებას ემუქრება.

სუდანში სამოქალაქო ომის გაღვივება ხელს არ აძლევს საუდის არაბეთს, რომელიც ცდილობს, მოწინააღმდეგე მხარეები როგორმე შეარიგოს. საუდის არაბეთის ინიციატივით, მათ შორის მოლაპარაკებები შედგა, თუმცა, უშედეგოდ. ანალიტიკოსები ერთხმად აღიარებენ, რომ, ახლა, ვითარების დამშვიდება შეუძლებელია, რადგან დათმობაზე არცერთი მხარე არ მიდის. სპეციალისტები, ასევე, მიუთითებენ, რომ კონფლიქტის გაღვივების შემთხვევაში, შეიძლება, გარე-ძალები ჩაერთონ პროცესში, რაც კიდევ უფრო მეტად გაართულებს ისედაც დაძაბულ მდგომარეობას.

# ამერიკის საზოგადოება ბევრად უფრო ზნეობრივია, ვიდრე ჯო ბაიდენი!

**ამერიკის ახლანდელი მთავრობა და მისი მხარდამჭერი რადიკალური ლიბერალები მონდომებით ლობირებენ კანონებს ტრანს-გენდერთა შესახებ. ამერიკელთა უმრავლესობა უკმაყოფილოა მათი ასეთი თავგამოდებით. ამის აღიარება ამერიკის ლიბერალური მეინსტრიმის ერთ-ერთ მთავარ გამოცემას, ვაშინგტონ პოსტსაც, მოუწია, რომელმაც ტრანსგენდერებზე ფართომასშტაბიანი სოციალური კვლევა ჩაატარა. გამოქვეყნებულმა შედეგებმა მთელი ამერიკა გააოცა, რასაც სხვადასხვაგვარი რეაქცია მოჰყვა: კონსერვატორები ზეიმობდნენ და ლიბერალები სდუმდნენ. რა აჩვენა ასეთი ამ გახმაურებულმა კვლევამ?**

აღმოჩნდა, რომ ამერიკის საზოგადოება მზად არ არის, უფრო რბილი განწყობა აჩვენოს ტრანსგენდერებს, ვიდრე ახლა ამჟღავნებს ამას. გამოკითხულთა 80-მა პროცენტმა განაცხადა, რომ არ ეთანხმება ბაიდენის გადაჭარბებულად ლიბერალურ პოლიტიკას ტრანსგენდერთა მიმართ. ამერიკის საზოგადოებაში ყველაზე დიდი აღშფოთება ტრანსგენდერული თავისუფლების თემებზე ბავშვებისთვის ინფორმაციის მიწოდებამ გამოიწვია. რადიკალურ ლიბერალებს და ლგბტ საზოგადოებას სურს, რომ არასრულწლოვან ბავშვებს სქესობრივი მომწიფების ბლოკატორების მიღების უფლება მიეცეთ. ასეთი პრეპარატი ბავშვის სქესობრივად ზრდასრულ ადამიანად ჩამოყალიბებას აჩერებს. ტრანსები ამას მიესალმებიან, რადგან, მათი აზრით, ბლოკატორების მიღების შემთხვევაში, მათ არ დასჭირდებოდათ სქესის შესაცვლელი ოპერაციების გაკეთება. ამერიკის მოსახლეობა თვლის, რომ ბავშვებთან ამ თემებზე საუბარი ჯერ ნაადრევი და მიუღებელია. მოგეხსენებათ, არასრულწლოვანს ეკრძალება არჩევნებში ხმის მიცემა, სიგარეტის მოწევა და ალკოჰოლის მიღება, მაგრამ თავისი ანატომიისა და ფიზიოლოგიის შესაცვლელად მზადების ნება აქვს.



აბსურდი! უაზრობა! დანაშაული! აი, ასეთი განცხადება გააკეთა ერთ-ერთმა ამერიკელმა კონსერვატორმა კონგრესმენმა. ასევე, მოსახლეობის უმრავლესობა მომხრეა, მთლიანად აიკრძალოს დაწყებით კლასებში ტრანს და ლგბტ თემებზე საუბარი. გამოკითხვამ აჩვენა, რომ მოსახლეობის უმრავლესობა ემხრობა სკოლებში ეგრეთწოდებული დრეგ-შოუს აკრძალვას. დრეგ-შოუ არის გართობის ფორმა, რომელშიც არტისტი ქალი ან კაცი საპირისპირო სქესის ადამიანის როლსა და ჩაცმულობას ირგებს. დრეგ-შოუ ლგბტ საზოგადოებაში ძალიან პოპულარულია. წარმოდგენები, ჩვეულებრივ, ბარებში ტარდება ხოლმე, მაგრამ ესტრადაზეც გამოჩნდა უკვე. მაგალითად, მომღერალი კონჩიტა და უკრაინელი შემსრულებელი ვერკა სერდიუჩკა დრეგ-შოუს მსახიობები არიან. ამერიკის სკოლებში დრეგ-შოუ ძალიან პოპულარული გახდა

გამოკითხვამ აჩვენა, რომ ამერიკის საზოგადოება არ ეთანხმება არასრულწლოვანი ბავშვების მიმართ ტრანს და ლგბტ თემების აქტიურ პროპაგანდას. გამოდის, ამერიკის საზოგადოება უფრო ზნეობრივი და ტრადიციულია, ვიდრე ბაიდენის ადმინისტრაცია.

# ევროპაში „რკინის ფარდა“ დაეშვაო!

**საყოველთაოდ ცნობილი ტერმინები „ცივი ომი“ და „რკინის ფარდა“ , კაცობრიობის პოლიტიკურ ლექსიკაში, მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში დამკვიდრდა. ეს არაორდინარული ცნებები, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ წარმოიშვა, დასავლეთისა და საბჭოთა კავშირის დაპირისპირებას უკავშირდება და მათი აქტუალობა დღესაც არ გამქრალა. იალტისა და პოტსდამის ცნობილ კონფერენციებზე, ძველ მოკავშირეებს, ამერიკასა და საბჭოთა კავშირს შორის ბზარმა იჩინა თავი.**

ამერიკისა და ბრიტანეთისთვის მიუღებელი აღმოჩნდა საბჭოთა კავშირის სურვილი და მცდელობა, კომუნისტური გავლენის ქვეშ მოექცია აღმოსავლეთ-ევროპა. გარდა ამისა, 1945 წლის ივლისში, მოსკოვმა თურქეთის მიმართ ტერიტორიული პრეტენზია წამოაყენა და მოითხოვა უფლება, დაეარსებინა საზღვაო სამხედრო ბაზა, რომელიც დარდანელის სრუტეს გააკონტროლებდა. ამით, ფაქტობრივად, საბჭოთა ხელმძვანელობა მსოფლიო ბატონობის პრეტენზიას აცხადებდა, რასაც ამერიკა და ინგლისი ვერასოდეს ვერ შეეგუებოდნენ. მსოფლიო, ზოგადად, და, კონკრეტულად, ევროპა, ორ პრო-დასავლურ კაპიტალისტურ და პროსაბჭოთა სოციალისტურ ბანაკებად გაიყო. მხარეები ცივი ომის გაჩაღებას ერთმანეთს აბრალებდნენ. დასავლეთი ამ წინააღმდეგობას უყურებდა, როგორც თავისუფლებისა და დემოკრატიის დაპირისპირებას ტოტალურ სახელმწიფო რეჟიმთან; სოციალისტური ბანაკი კი, მიიჩნევდა, რომ იმპერიალიზმი და კაპიტალიზმი დაუპირისპირდა სოციალიზმს. სწორედ, ამ ორი სისტემის ურთიერთ-მტრობის შედეგად დამკვიდრდა ტერმინი „რკინის ფარდა“, რომლის ავტორი, ვარაუდობენ, მსოფლიოში ცნობილი ბრიტანელი პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილია. მან ეს სიტყვები 1946 წლის 5 მარტს გამოიყენა ამერიკის ქალაქ ფულტონში გამოსვლისას. ჩერჩილმა მწვავედ გააკრიტიკა საბჭოთა კავშირის მაშინდელი პოლიტიკა, განაცხადა რა, რომ საბჭოთა კავშირი ევროპის გახლეჩას ლამობს, როგორც ფიზიკურ-გეოგრაფიულად, ისე იდეოლოგიურად. რკინის ფარდა დაეშვაო კონტინენტზე, ბალტიისპირეთის შტეტინიდან ადრიატიკის ტრიესტემდე, განაცხადა უინსტონ ჩერჩილმა. ასე დამკვიდრდა მსოფლიო პოლიტიკაში ტერმინი „რკინის ფარდა“ , რომლის სიმბოლურობამ ჟამთა არაერთ ცვალებადობას გაუძლო. ამ დროს, თუ ისტორიას უკეთესად ჩავუღრმავდებით, აღმოვაჩენთ, რომ ტერმინი „რკინის ფარდა“ ჩერჩილამდეც არაერთხელ გამოუყენებიათ...



**ნუგზარ ბ. რუხაძე**
POSTV



## დათო სულაქველიძის 80-იანი წლებისა

**მე რომ სხვისი მრავალმხრივობა გამიკვირდება! დათო სულაქველიძისა კი მუდამ მიკვირდა. რამდენი რამ აინტერესებდა, რამდენი რამ იცოდა პროფესიონალურად, რამდენ ადგილას იპოვიდა თავის ჯეროვან ადგილს. არადა, იშვიათად მინახავს, მისებრ თავმდაბალი და მისებრ უპრეტენზიო ადამიანი. მეგობრებმა ვიცოდით მისი ფასი.**

პარალელურ კლასებში ვიყავით თბილისის პირველ საშუალო სკოლაში. მერე ერთმანეთი დავკარგეთ – მან მათემატიკა აირჩია, მე ჟურნალისტიკა. ის – მათემატიკის ინსტიტუტში წავიდა სამუშაოდ, მე – ხან ერთ რედაქციაში ვიყავი და ხან მეორეში. მან იმდროინდელი წნეხის პირობებში თავისი თავისუფლების გადასარჩენად აკრძალული მუსიკა და ასევე აკრძალული კარატე არჩია, მე – დაუბეჭდავი ლექსების წერა და შორეული ნაოსნობა.



ამასობაში 80-იანი წლები დადგა და ჩვენი გზები ისევ გადაიკვეთა. ჯერ მეც დავინტერესდი კარატეთი, როცა ის უკვე კარატეს მსაჯი იყო. მერე ის დაინტერესდა საგამომცემლო საქმით, როცა მე უკვე ბოლომდე ვიყავი ამ საქმეში გადაშვებული. მერე ის იყო, სხვა ენთუზიასტებთან ერთად მაშინ საკმაოდ სარისკო საქმეს შევუდექით და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ჩამოვაყალიბეთ. საქართველოს გარდა, არც ერთ მოკავშირე რესპუბლიკაში ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი არ შექმნილა დამოუკიდებლობის მოპოვებამდე. მე კი მიმაჩნდა, რომ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნა დამოუკიდებლობის მოპოვების საფუძველი უნდა ყოფილიყო და არა მისი შედეგი და დათო ერთი მთავარ მოკავშირედ მეგულებოდა.

ამასობაში პერსონალური კომპიუტერები წამოგვეწია. კომპიუტერული და ინგლისური, დღეს რომ მთავარ სიკეთედ ითვლება, მე სხვაზე ადრე ვისწავლე, დათომ – ჩემზე ადრე. საქართველოში მაშინ სულ რამდენიმე პერსონალური კომპიუტერი იყო – 286-ები. დათო მათემატიკოსი იყო, ეს ყველაფერი ჩემზე კარგად იცოდა და როცა მე ბეისიკისა და ბერტრანის შესწავლა დავიწყე, აქაოდა ამათ გარეშე კომპიუტერებს რას გავუგებ-მეთქი, შენ ეგენი არაფერში დაგჭირდებაო, მეუბნებოდა, შენ იუზერი იქნებიო. მაშინ პირველად გავიგე სიტყვა იუზერი. თვითონ კი კომპიუტერის მთელი შიგთავსი იცოდა და დღეს რომ აიტიშნიკებს ეძახიან, ჩვენში ერთ-ერთი პირველი, მგონი, სულაც დათო იყო. აიბიემმა რომ წალეკა ქვეყანა და ბოლოს ყველა ეპლზე გადავიდა, ის ბოლომდე თავისი ატარის ერთგული დარჩა. რა კომპიუტერი არ გამოუცვლია, მაგრამ ბოლომდე ედგა თავის სტუდიაში ატარი.

სტუდიას რომ ვამბობ, მის კერძო სტამბას ვგულისხმობ, რომელიც მეგობრებთან ერთად ჩამოაყალიბა, თუ არ ვცდები 80-იანების ბოლოს. „კალამოს გრაფიკს სტუდიო“ იმთავითვე ხარისხზე იყო ორიენტირებული და დათო იყო ამ ხარისხის მთავარი გარანტი. ვინ იცის რამდენი საქმე გვიკეთებია იმ სტამბაში, ვინ იცის, რამდენი ღამე გაგვითევია, როცა შინ დაბრუნება შეუძლებელი იყო – ჯერ უტრანსპორტობისა და მერე უთავბოლო სროლების გამო. საქართველოს პირველი მარკებიდან ბევრი სწორედ აქ შეიქმნა. არაერთი გამოცემაც ერთად გავაკეთეთ.

მერე ერთმანეთს ხშირად ვხვდებოდით თბილისის ამა თუ იმ გამოფენაზე, კონცერტზე, პრემიერაზე, ამა თუ იმ სპორტულ ღონისძიებაზე. დათო ყველგან სასურველი სტუმარი იყო, უამრავი მეგობარი ჰყავდა მეცნიერების, ხელოვნებისა თუ სპორტის სფეროში. იმ პირველი აკრძალული, დღეს უკვე ისტორიული გამოსვლებიდან რამდენიმეს მეც დავსწრებივარ. ბოლოს კი, თუმცა მას მერეც კარგა ხანი გავიდა, ზაზანოვაში დამპატიჟა თავისი და თავისი მეგობრების კონცერტზე, რომლის საზეიმო განწყობა დღემდე გამომყვა.

როცა ჩათვლიდა, რომ მის მიერ გამოცემული წიგნი დამაინტერესებდა, მუდამ მიგზავნიდა. მეც ჩემს წიგნებს ვუგზავნი, ან თავად მიმქონდა. ერთი ჩემი წიგნი – იაპონური შთაბეჭდილებები – განსაკუთრებით მოსწონდა. მის ბინაში ბოლოს რომ ავედით პანაშვიდზე, თვალი მოვკარი, თაროზე ედო – გარეკანით გარეთ, გამოსაფენად. ამ გამოცემაში დაბეჭდილ ჩემს ფოტოებზე ბევრი ვილაპარაკეთ თავის დროზე. და არა მარტო ფოტოებზე. საინტერესო მოსაუბრე იყო.

ორივე ვიყავით ფოტოგრაფიით გატაცებული. მაგრამ არც მე და არც დათოს ფოტოგრაფად არ გვიმუშავია. კი მონაწილეობდა გამოფენებში, მაგრამ არც ისე და არც იმ მასშტაბით, რასაც მისი მხატვრული ფოტოგრაფია იმსახურებდა. მაგრამ დღეს უკვე აშკარაა, რომ მისი უკვე ისტორიული მნიშვნელობის მქონე ფოტოგრაფიის გარეშე მისი ეპოქის საქართველოს წარმოდგენა ძალიან ბევრს დაკარგავდა.

**ალბათ ამიტომაც დაარქვეს დათო სულაქველიძის ფოტოგამოფენას მისმა კურატორებმა – გურამ წიბახაშვილმა, მარიამ წიქარიძემ და ნიკა დუმბაძემ – ასეთი ორიგინალური სახელი: „როგორ დავიმახსოვროთ 80-იანები“. გამოფენა მარჯანიშვილის 7 ნომერშია გახსნილი, ტიბისი-კონცეპტში. ყველას ვურჩევ, ნახოს ეს გამოფენა – მათაც, ვინც მოესწრო 80-იანებს და თავად იყო მონაწილე იმ ყველაფრისა, რასაც დათო ასახავს და მათაც, ვისთვისაც ეს ყველაფერი სხვისი შორეული წარსულია. დიდი მადლობა ამ გამოფენის ყველა ორგანიზატორს. ახლა ეს გამოფენა და მასთან ერთად დათოს სხვა ფოტოები ალბომად არის გამოსაცემი. კარგი იქნება, თუ ამ საქმესაც გამოუჩნდება თავის დამდგმელი. მე დაახლოებით წარმომიდგენია, როგორ გამოსცემდა ამ წიგნს თავად დათო სულაქველიძე.**

დათოს ანსელ ადამსი მოსწონდა, მოსწონდა მისი შავ-თეთრი ფოტოები, ამერიკული დასავლეთის მშვიდი, მარადიული პეიზაჟების ამსახველი. მაგრამ მის ამჟამინდელ გამოფენაში მხოლოდ ანსელ ადამსის შავ-თეთრობაა შენარჩუნებული. სად არის მისი სიმშვიდე, მისი იდილიურობა, თუნდაც უძრაობა. დათოს სწორედაც რომ მოძრავ ეპოქაში მოუხდა ამ ფოტოების გადაღება. მას არ მოუწია იმ დროს და იმისთანა ქვეყანაში ცხოვრება, რომ პეიზაჟებით დამტკბარიყო. მის თვალწინ იცვლებოდა ცხოვრება – როგორც მის გარშემო, ისე მთელ მსოფლიოში, და იგი ამ ყველაფრის არათუ თვითმხილველი, მონაწილეც იყო.

გვინდა თუ არ გვინდა, ამ გამოფენის შემდეგ 80-იანებს ჩვენც დათო სულაქველიძის ამ ფოტოებითაც დაგვამახსოვრდება. მე კი დათოსთან ერთად გატარებული მთელი სამოცი წელიც მემახსოვრება, სანამ ცოცხალი ვარ – 1959 წლიდან, სკოლაში რომ შეგვიყვანეს, 2019 წლამდე, დათოს გარდაცვალებამდე.



# პერფექციონისტის შთანახატები

## აბსურდული პოლიტკორექტულობისა

**ფეხბურთს ვუყურებ ერთ თბილისურ რესტორანში ახალგაზრდებთან ერთად. „ნაპოლი“ და კვარაცხელია და ოსიმენი და მიდი-მოვდივარ. და სწორედ ეს ვიქტორ ოსიმენი წააქციეს და კომენტატორი ამბობს, – ნიგერიელი დაშავდაო.**

ჰოდა, ერთი ახალგაზრდა, როგორც ჩანს, ძალიან პოლიტკორექტული, აღშფოთდა და გადაღშფოთდა, – როგორ შეიძლება შავკანიანზე „დაშავდა“ თქვაო!

მართლა არა აქვს აბსურდს საზღვრები!

აბა რა უნდა ეთქვა, დათეთრდაო?

და თეთრკანიანი რომ დაშავდეს, შეიძლება?

## დაგვიანებული პროექტისა

**ახლა უკვე გვიანია, მაგარ ქართველ ექიმთა მთელი თაობა უკვე წავიდა, მაგრამ თავის დროზე რომ გვეფიქრა, იქნებ საქართველო სამედიცინო ტურიზმის ქვეყნად გვექცია, როგორიც დღეს არის, მაგალითად, კოსტა-რიკა.** იქნებ აღარც ეს უცხოელი ექსპერტები დაგვჭირდებოდა და აღარც მათი დასკვნები.

## ექიმისა და გაზეთისა

**გაზეთი „ჩვენი კვალი“ 1908 წლის 2 ივნისის ნომერში (№6) პირველ გვერდზე მკითხველს აუწყებს, რომ:**

„ჩვენი თანამშრომელი დოქტ. ივ. გომართელი დროებით პეტერბურგში წავიდა“.

ხოლო იგივე გაზეთი 1908 წლის 27 ივლისის ნომერში (№10) პირველ გვერდზე მკითხველს ახარებს, რომ:

„დოქტორი ივ. გომართელი ჩამოვიდა და შეუდგა ჩვეულებრივათ ავათმყოფების მიღებას“.

ეს ის ივანე გომართელია, რომელიც თამამად შეიძლება ჩაითვალოს მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართული ლიტერატურის ერთ-ერთ საუკეთესო ქართველ კრიტიკოსად.

გაზეთი თავის თანამშრომელზე იმას კი არა წერს, ხვალ და ზეგ მისი კრიტიკული წერილები არ მოგაკლდებათო! არა, ავადმყოფების მიღებას შეუდგაო!

**პაატა ნაცვლიშვილი**

# ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი ქსელი დედაუნივერსიტეტში

ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი ქსელის დაფუძნების შესახებ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა **ჯაბა სამუშიამ** და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ **ნოდარ პაპუკაშვილმა,** ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სამი არასამთავრო ორგანიზაციის (განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრი, „მარიანი“ და მოძრაობა ხელმისაწვდომი გარემო ყველასათვის) წარმომადგენლებთან ერთად ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

**„ინკლუზიური განათლების მხარდაჭერა არის ის მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზეც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა. უნივერსიტეტი მიზანმიმართულ ნაბიჯებს დგამს ამ მიმართულებით. მათ შორის, ერთ-ერთი ასეთი პროექტია სტუდენტებისთვის სახელმძღვანელოების აუდიო ვერსიების შექმნა,“** – აღნიშნა თსუ რექტორმა ჯაბა სამუშიამ. მისი თქმით, უნივერსიტეტს უკვე შეძენილი აქვს სპეციალური აპარატურა და თსუ ცენტრალურ ბიბლიოთეკასა და ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში უახლოეს მომავალში დაიწყება ეს პროცესი, რომელშიც ათობით მოხალისე სტუდენტი იქნება ჩართული.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ნოდარ პაპუკაშვილმა მემორანდუმის ხელმოწერის ღონისძიებაზე აღნიშნა, სამინისტროს პრიორიტეტია ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა.

**„2009 წელს საქართველო შეუერთდა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციას“, რამაც დიდი ცვლილებები გამოიწვია ყველა მიმართულებით. ჩამოყალიბდა ახლებური მიდგომები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართებაში. დღევანდელი ჩვენი ღონისძიება არის გამოხატულება იმისა, თუ რამდენად უჭერს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სახელმწიფოს სახელით აღნიშნულ მიდგომებს. ჩვენ მზად ვართ, მხარი დავუჭიროთ ყველა ასეთ ინიციატივას, ჩავერთოთ მსგავს პროექტებში და წვლილი შევიტანოთ ინკლუზიური განათლების განვითარებაში“,** – აღნიშნა მინისტრის მოადგილემ.

ქსელის ძირითადი მიზანია განათლების სხვადასხვა საფეხურზე ინკლუზიური განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად გააერთიანოს სფეროში მოქმედი ყველა დაინტერესებული მხარე – სახელმწიფო სტრუქტურები, საგანმანათლებლო დაწესებულებები და სამოქალაქო სექტორი. ქსელის წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ორგანიზაცია, რომელიც იზიარებს მემორანდუმის შინაარსს და მზად არის ითანამშრომლოს სხვადასხვა საგანმანათლებლო საფეხურზე ინკლუზიური განათლების მხარდასაჭერად.



ღირსეული ფინიში

# ბრინჯაოც, ლიცენზიის შანსიც

**ყატარის დედაქალაქ დოჰაში გამართული ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატი რომ ოქროს ასოებით ჩაიწერა სამამულო სპორტის ისტორიაში, უკვე გაუწყეთ, თუმცა მას რომ დასასრულიც ისტორიული ჰქონდა, ქვემოთ მოგახსენებთ.**

საუბარია გუნდურ ტურნირზე, სადაც საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა შერეული სახით ასპარეზობის განმავლობაში პირველად მოიპოვა ბრინჯაოს მედალი და, რაც მთავარია, 2024 წლის პარიზის ოლიმპიადის ლიცენზიის დამსახურებისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა.

აღსანიშნავია, რომ პარტნიორთა წარმატებაში ღირსეული წვლილი მანდილოსნებმა – ეთერ ლიპარტელიანმა, ეთერ ასკილაშვილმა და სოფიო სომხიშვილმა შეიტანეს. ეს განსაკუთრებით მონღოლებთან სასტარტო შეხვედრაზე ითქმის – 4:2, რომელშიც ქართულმა ტრიომ ასპროცენტიანი შედეგი აჩვენა, გერმანიასთან გადამწყვეტ ბრძოლაში კი, რომელიც იმავე ანგარიშით მოვიგეთ, ბრინჯაოს წერტილი ლიპარტელიანმა დასვა.




დანარჩენ მეტოქეებთან ასეთი სტატისტიკა გვაქვს: ბრაზილიასთან – 4:3 (კრიტიკულ ვითარებაში მსოფლიოს ახალმა ჩემპიონმა ლუკა მაისურაძემ გვიხსნა, რომელმაც 2:3-ზე რაფაელ მასედოს ჯერ ბოლო შერკინება მოუგო, ხოლო შემდეგ – დამატებითი), იაპონიასთან 1:4 და უზბეკეთთან – 4:2. დავძენთ, რომ გურამ თუშიშვილმა ოთხივე მოწინააღმდეგეს სძლია, ხოლო ლაშა ბექაურმა და ლაშა შავდათუაშვილმა – ორ-ორს. იჭიდავეს აგრეთვე გელა ზაალიშვილმა და კოტე კაპანაძემ.

რაც შეეხება ტიტულს, იგი ძიუდოს სამშობლომ მოიხვეჭა, რომელმაც 1:3-დან ამოუქაჩა დუელი საფრანგეთს და რევანში აიღო მასთან შარშანდელ ტოკიოს საშინაო ფორუმზე მარცხისთვის – 4:3.

და ბოლოს: სიმბოლურია, რომ ჭვაროსნებმა ჯერარნახული ტრიუმფით აღნიშნეს ქართული ძიუდოს მესაძირკვლეთაგანი პაპის, როგორც სიყვარულით მოვიხსენიებთ – ბიძინა მაზიაშვილის 95 წლის იუბილე. დიახ, მისი ჩაყრილი ნერგი დღემდე ხარობს!

აღმოსავლური ორთაბრძოლები



# ისტორიული შედეგი

**ტოკიოში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ქართველმა კუდოისტებმა წარმატებით იასპარეზეს. ჩვენი ნაკრების ცხრა წევრიდან მედალი ექვსმა აიღო, რაც ისტორიული შედეგია.**

იაპონიაში სხვადასხვა ასაკში პირველად ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებმა ოქრო მოიხვეჭეს. ჩემპიონები გახდნენ საბა მაქაცარია (U16) და სედრაკ კარაპეტიანი (U19). საბამ ფინალში სომხეთის წარმომადგენელი ალექსანდრ ჩარხჩიანი დაამარცხა, კარაპეტიანმა კი გადამწყვეტ ბრძოლაში ინდოელ კიგან მანეზის ხელის მტკივნეული ილეთით მოუგო.

ასევე პირველად საქართველომ მედალი ქალთა შორის ასპარეზობაშიც დაისაკუთრა. ვიცე-ჩემპიონობა 16-წლამდელთა შორის მარი ნანავამ იზეიმა, ხოლო ვაჟებში – ნიკა ბერაიამ. ბრინჯაოს მედლები რატი შურღაიამ (U16) და დიმიტრი ბერაიამ (U13) მოიპოვეს.

სულ საქართველოს ნაკრების ანგარიშზე ორი ოქროს, ორი ვერცხლის და ორი ბრინჯაოს მედალია. იაპონიაში იმყოფებოდნენ კუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ალექსი ფილფანი, კუდოს ფედერაციის მთავარი ინსტრუქტორი დავით ყოლბაია და მწვრთნელი ირაკლი პაპავა. შეგახსენებთ, რომ კუდო კარატეს, ძიუდოსა და კრივის ელემენტების ნაზავია.

გამოწვევა

# ტიტულებიც იქნება!

22 წლის ქართველი ხელბურთელი **გიორგი ცხოვრებაძე** კარიერას პოპულარულ გერმანულ კლუბ „გუმერსბახში“განაგრძობს. მან 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და გუნდს მომავალი სეზონიდან შეუერთდება.

**„გიორგი საოცარი მოთამაშეა, რომელიც ნამდვილად გამოირჩევა ათლეტურობითა და ტექნიკით. ჩვენ მას დიდი ხანია ვაკვირდებით და გვიხარია, რომ ისეთი მოთამაშე გავიფორმეთ, რომლის სახელიც აუცილებლად უნდა დაიმახსოვროს ყველამ“** – განაცხადა გუნდის მენეჯერმა **კრისტოფ შინდლერმა.**

**„გიორგი გუნდს როგორც ტალანტი და ამბიციური სნაიპერი ძალიან გააძლიერებს. იგი საოცარი მოთამაშეა. მას კარგად შეუძლია მატჩის გამწვავება და ძალიან მაღალი ნახტომი აქვს. ჩვენ მისგან ძალიან ბევრს ველით“** – აცხადებს გუნდის მთავარი მწვრთნელი და ხელბურთის ლეგენდა **გუდიონ ვალურ სიგურსონი.**




**„გუმერსბახში თამაში ბევრი მიზეზის გამო გადავწყვიტე. უპირველესად ამ კლუბს უდიდესი ისტორია და ტრადიციები გააჩნია, შესაბამისად ჩემთვის დიდი პატივია ამ მაისურის მორგება. გუნდი ძალიან ახალგაზრდულია და აქვს შანსი, რომ ბევრ წარმატებას მიაღწიოს ევროპის ერთ-ერთ გამორჩეულ ჩემპიონატში. მიხარია, რომ ცხოვრების მნიშვნელოვან მონაკვეთს აქ გავატარებ და ჩემს მაქსიმუმს გავაკეთებ, რომ ერთად წარმატებული სეზონები გვქონდეს“** – ამბობს გიორგი ცხოვრებაძე.

„გუმერსბახი“ ხელბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი კლუბია (25-ზე მეტი გერმანული ან საერთაშორისო ტიტული). გუნდი ბუნდესლიგის 12-გზის ჩემპიონია, ხოლო გერმანიის თასი 5-ჯერ აქვს მოგებული.

შეგახსენებთ, რომ გიორგი ცხოვრებაძე ჯერ კიდევ 16 წლის იყო, როდესაც ევროპამ გაიცნო და მონპელიეს აკადემიას შეუერთდა. 2021-22 წლების სეზონში იგი განათხოვრებული იყო EHF თასის მონაწილე გუნდ „ვინტერტურში“ და მონპელიეში დაბრუნებამდე რეგულარულად თამაშობდა ძირითადში. გიორგი საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა, რომელმაც საკვალიფიკაციო ეტაპის ბოლო მატჩში უნგრეთის წინააღმდეგ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოგვაპოვებინა და გუნდს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრაში დაეხმარა. გარდა ამისა, იგი 42 გოლით საკვალიფიკაციო ეტაპის ბომბარდირი გახდა.

ლეგიონერი

# შესანიშნავი შვიდეული

**იტალიის ჩემპიონატის ფინიშამდე სამი ტურია დარჩენილი, თუმცა სეზონის ლაურეატთა გამოსავლენად ნომინანტები უკვე შერჩეულია.**

როგორც მოსალოდნელი იყო, სერია – ა-ს სიმბოლური ნაკრების 11 წევრის გამოსავლენ 45 რჩეულს შორის სკუდეტოს მფლობელი ნაპოლი ყველაზე მეტი – 7 მოთამაშითაა წარმოდგენილი: მერეტი, დი ლორენცო, კიმ მინ-ჯე, ანგისა, ლობოტკა, ოსიმენი და **კვარაცხელია.** აღსანიშნავია, რომ ხვიჩა რეალურ პრეტენზიას აცხადებს მისი გუნდისთვის ტრიუმფალურად დასრულებული კალჩოს საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულისთვის კონკურსშიც.

ამ ფაქტს ხაზს იმ ჩასაფრებულ სკეპტიკოსთა საყურადღებოდ ვუსვამთ, ვინც მომქანცველი მარათონის უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში ჩვენი უნიჭიერესი თანამემამულის გარდაუვალი კრიზისის შემდეგ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ენას ძვალი არა აქვს.

ხალხნო, გაიხსენეთ, რომ თვით მარადონას პირველი აპენინური ოქროსთვის 3 წელი დასჭირდა.

დუბლისკენ

# პირველი ნაბიჯი

**როგორც მოგეხსენებათ, გიორგი შერმადინი 2020-2021 წლების სეზონის შემდეგ ესპანური ლიგა ენდესას MVP-ის წოდებას დაეუფლა.**

აღნიშნული ფრიად პრგესტიჟული ტიტულის მოპოვების რეალურ შანსს ტენერიფეს ქართველი ლიდერი წლეულსაც ინარჩუნებს, დუბლის შესრულების შემთხვევაში კი კალათბურთის მთელ რიგ ლეგენდებს, მათ შორის არვიდას საბონისს გაუთანაბრდება.

საამისოდ კუნძულელთა ცენტრმა პირველი ნაბიჯი უკვე გადადგა და 29 პროცენტით გულშემატკივართა გამოკითხვაში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა, რადგან უახლოეს კონკურენტს მთელი 10 პუნქტით გაუსწრო.

ცნობილია, რომ მიზნის საბოლოოდ მისაღწევად საკმარისი ხმები გუნდების მწვრთნელთაგან და მოთამაშეთაგან უნდა დავიმსახუროთ. ვიმედოვნებთ, არც მათ შეეშლებათ ობიექტური არჩევანის გაკეთება.

ამასობაში წარმატებით ჩაება იტალიის ჩემპიონატის პლეი-ოფში **თორნიკე შენგელიას** ვირტუს ბოლონია, რომელიც საშინაო მატჩების შემდეგ მეოთხედფინალურ სერიაში 2:0 დაწინაურდა ბრინდიზისთან – 104:68 და 109:95. პარტნიორთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო სწორედ ჭვაროსანთა კაპიტანი იყო, რაც განსაკუთრებით სასიამოვნოა მოახლოებული სადებიუტო მუნდიალის წინ.



ალალ იყოს!

# ბრაზილიაში პელეს მავზოლეუმი გაიხსნა




**15 მაისს სანტოსში ლეგენდარული ბრაზილიელი ფეხბურთელის პელეს მავზოლეუმი გახსნეს.**

მისი მონახულება შესაძლებელია სამუშაო დღეებში 9-დან 12 და 14-დან 18 საათამდე. მიუხედავად იმისა, რომ შესვლა უფასოა, საჭიროა ნეკროპოლის ვებ-გვერდზე ვიზიტის დროის მითითება. კუბო პელეს სხეულით მოათავსეს სპეციალურ მავზოლეუმში ნეკროპოლ „ეკუმენიკალის“ ტერიტორიაზე, რომელიც ფეხბურთის მეფემ ადრე თავად აირჩია. ეს ნაგებობა გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა, როგორც ყველაზე მაღალი ვერტიკალური სასაფლაო მსოფლიოში. დარბაზში შესასვლელი მორთეს ბრაზილიისა და „სანტოსის“ დროშებით. ასევე, იქ განთავსებულია პელეს ოქროსფერი ქანდაკება. პელე გასული წლის 29 დეკემბერს 82 წლის ასაკში გარდაიცვალა. ის ფეხბურთის ისტორიაში ერთადერთია, ვინც მსოფლიო ჩემპიონატი სამჯერ მოიგო.

ეგზოტიკა

# სანახაობაც ამას ჰქვია!

**თურმე, სპორტის სახეობებს მინი-წყალბურთიც ამშვენებს და, ასე განსაჯეთ, აღნიშნულ ეგზოტიკურ დისციპლინაში ოფიციალური ტურნირებიც იმართება, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც მონაწილეობს.**

ამჯერად გვაქვს პატივი ჭვაროსანთა სერიოზული წარმატების შესახებ გაუწყოთ: საუბარია მსოფლიოს თასის გათამაშების შესარჩევ ეტაპზე, რომელიც ჩვენმა გუნდმა ზედიზედ სამი გამარჯვებით დაიწყო, ხოლო შემდეგ მძაფრ ბრძოლაში ერთნაირი ანგარიშით – 9:10 დამარცხდა ეგვიპტელ და უნგრელ მეტოქეებთან და საბოლოოდ დაკავებული საპატიო მეოთხე ადგილით ფინალურ რაუნდში თამაშის უფლება დაიმსახურა. **ვულოცავთ!**

სანთელი



# გულისხმიერი, თავდადებული პროფესიონალის არდავიწყება

## მერი ალანიას ხსოვნას

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებას გამოხატავს ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ფიტოქიმიის დეპარტამენტის და ფენოლურ შენაერთთა მიმართულების ხელმძღვანელის, ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, პროფესორის, ღვაწლმოსილი მეცნიერის მერი ალანიას გარდაცვალების გამო.

მერი ალანია დაიბადა 1937 წელს ხობის რაიონის სოფელ ზემო ქვალონში. 1954 წელს წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა და ასეთივე წარმატებით განაგრძო სწავლა 1955-1960 წლებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტულ ფაკულტეტზე. პროვიზორის კვალიფიკაციის მინიჭების შემდგომ პროფესიული მოღვაწეობა დაიწყო აბაშის რაიონის სოფელ ონტოფოს აფთიაქის მმართველის რანგში. 1966 წელს ჩაირიცხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის იოველ ქუთათელაძის ინსტიტუტის ასპირანტურაში და აქტიურად შეუდგა სამეცნიერო საქმიანობას საქართველოს ფლორის ასტრაგალის გვარის სახეობების ფიტოქიმიური შესწავლის მიმართულებით. 1974 წელს ქ. ხარკოვის ფარმაცევტულ ინსტიტუტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, 1990 წელს კი — სადოქტორო ნაშრომი „საქართველოს ფლორის ასტრაგალების ფლავონოიდები და ციკლოარტანები" ქ. ხარკოვის სამკურნალო საშუალებათა ქიმიისა და ტექნოლოგიის საკავშირო-სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

ქალბატონმა მერიმ ინსტიტუტში მოღვაწეობის პერიოდში განვლო ყველა საფეხური უმცროსი მეცნიერიდან მთავრამდე. ათეული წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ფიტოქიმიის დეპარტამენტის ფენოლური ნაერთების ლაბორატორიას. 2016 წელს არჩეული იქნა ფიტოქიმიის დეპარტამენტის ხელმძღვანელად. იგი სამეცნიერო საქმიანობას დიდი მონდომებითა და გულისხმიერებით უთავსებდა სხვა მრავალ დარგობრივ, პედაგოგიურ თუ საზოგადოებრივ აქტიურობას — იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის იოველ ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ფარმაცევტულ მეცნიერებათა ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს წევრი, 2012 წლიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი, საქართველოს ფარმაცევტთა, საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა და საქართველოს მეცნიერთა და ახალგაზრდა ფარმაცევტთა ასოციაციების წევრი. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა ოთხი საკანდიდატო დისერტაცია, კითხულობდა სალექციო კურსს ფარმაცევტულ ქიმიაში საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტში.

ქალბატონი მერის ხელმძღვანელობით და აქტიური მონაწილეობით ჩატარდა საქართველოს ფლორის სახეობების კვლევა ფენოლური ნაერთების შემცველობაზე, სამედიცინო ასპექტით პერსპექტიული სახეობების გამოვლენა და მათი გაღრმავებული შესწავლა. მრავალწლიანი თავდაუზოგავი შრომის შედეგად მის მიერ მომზადდა და გამოიცა ექვსი მონოგრაფია, ორ ასეულზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაცია, 16 საავტორო მოწმობა. მის მიერ თანაავტორებთან ერთად შემუშავდა და სამედიცინო პრაქტიკაში ჩაინერგა მცენარეული წარმოშობის პრეპარატები, როგორიცაა ფლარონინი — ჰიპოაზოტემიური და დიურეზული მოქმედების ტაბლეტები, გინკგო-ბათი — ნოოტროპული და ფსიქომასტიმულირებელი საშუალება. მისი დაუღალავი შრომისა და კვლევის შედეგად საქართველოს ფლორის მცენარეთაგან მიღებულია პერსპექტიული ბიოლოგიურად აქტიური სუბსტანციები, სტანდარტული ნიმუშები და სხვა.

მეცნიერებაში გაწეული ღვაწლისთვის 2004 წელს მიენიჭა სახელმწიფო პრემია საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგში.

ქალბატონი მერის პროფესიონალიზმი, დარგისადმი თავდადება, ღირსება, გულისხმიერება, კეთილსინდისიერება და თანადგომა სამუდამოდ დარჩება მისი კოლეგების, თანამშრომლების და ახლობლების ხსოვნაში.

უფალმა სასუფეველში დაამკვიდროს მისი სული.

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი.**

---



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ფიტოქიმიის დეპარტამენტის ფენოლური შენაერთების მიმართულების თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის, მიმართულების ხელმძღვანელის, ღვაწლმოსილი მეცნიერის, პედაგოგის, ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ

**მერი ალანიას**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ეთერ ქემერტელიძე დიდი გულისტკივილით იუწყება ერთგული მეგობრის, გამოჩენილი მეცნიერის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ

**მერი ალანიას**

გარდაცვალებას, სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს და მთელ ფარმაცევტულ საზოგადოებას.

# მარიამ ღვთისმშობლის ხატი „ბარძიმი შეუსმელი"

**18 მაისს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს მარიამ ღვთისმშობლის ხატს „ბარძიმი შეუსმელი", რომელიც კეთილმორწმუნეთ მოუვლენს სასწაულს — ვნებისგან და სნეულებისგან კურნავს...**



ცნობილია, რომ მარიამ ღვთისმშობლის ამ ხატს განსაკურნებლად მიმართავენ და ევედრებიან ისინი, ვინც ლოთობის ვნებით არის შეპყრობილი. ერთი კაცი ლოთობის გამო, სრულიად გაღატაკდა და ბოლოს ფეხებიც წაერთვა. სიზმარისეულ ხილვაში მას ვინმე ბერი გამოეცხადა და უბრძანა, სერპუხოვოში წასულიყო და იქ მამათა მონასტერში ღვთისმშობლის „ბარძიმი შეუსმელი" ხატის წინაშე ელოდა და პარაკლისი აღესრულებინა.

საგულისხმოა ისიც, რომ მონასტერში ამ ხატის არსებობის შესახებ თურმე არც იცოდნენ, მაგრამ მონათხრობის მიხედვით მოძებნეს, პარაკლისი შეასრულეს და საბრალო სნეული ლოთობისგან განიკურნა. ...ამბობენ, ეს ხატი მრავალ ამგვარ სასწაულს აღასრულებს.

**გიული ლიპარტია**

# გუდამაყრის ხეობაში დაკარგული ტურისტის ცხედარი იპოვეს

**გავრცელებული ინფორმაციით, ის ლიეტუვის მოქალაქეა. ინფორმაციისთვის, 15 მაისს დუშეთის მუნიციპალიტეტში, გუდამაყრის ხეობაში ჯომარდობისას მდინარემ ორი ადამიანი გაიტაცა. ორივე დაიღუპა. რედაქცია თანაუგრძნობს დაღუპულთა ოჯახებს.**

# ქრთამის აღების ფაქტზე ორი მეტყევე დააკავეს

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა ორი სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად 2023 წლის აპრილის თვეში ქრთამის აღების ფაქტებზე სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტოს" იმერეთისა და სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახურის ორი თანამშრომელი დააკავეს.**

საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, მათი სამოქმედო სატყეო უბნებიდან მიწის ნაყოფიერი ფენის უნებართვოდ მოპოვებისა და გამოტანის სანაცვლოდ მოქალაქეებს ქრთამის სახით მოსთხოვეს და მიიღეს ფულადი თანხები, რა დროსაც მოხდა მათი მხილება.

**„აღნიშნულ საქმეებზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან კოორდინაციით, გრძელდება შესაბამისი ღონისძიებები აღნიშნულ დანაშაულში მონაწილე სხვა პირების დადგენა-მხილების მიზნით",** — აცხადებენ საგამოძიებო სამსახურში.

# გერმანელ ჟურნალისტებს საინფორმაციო ტური ჩაუტარდათ



**ბორჯომ-ხარაგაულის დაცულ ტერიტორიებზე გერმანიის რეკონსტრუქციისა და საკრედიტო ბანკის (KfW) ორგანიზებით, გერმანელ ჟურნალისტებს საინფორმაციო ტური ჩაუტარდათ. შეხვედრას გერმანიის ელჩი საქართველოში ერნესტ პიტერ ფიშერი ესწრებოდა,** — ამის შესახებ ინფორმაციას დაცული ტერიტორიების სააგენტო ავრცელებს.

**მათივე ინფორმაციით, გერმანული მედიის წარმომადგენლებმა ინფორმაცია მიიღეს ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების საქმიანობის შესახებ, აგრეთვე იმ პროექტებსა და მიმდინარე გეგმებს გაეცნენ, რომელიც გერმანიის რეკონსტრუქციისა და საკრედიტო ბანკის (KfW) მიერ ხორციელდება საქართველოს დაცული ტერიტორიების, მათ შორის ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის განვითარების მიმართულებით.**

## — პოეტის ერთი ლექსი —



# ამაღლება

მენელსაცხებლე ქალების
ახლაც ჩამესმის გლოვის ხმა,
მარიამ მაგდალელის და
მარიამ იაკობისა.

საუკუნეთა ლოდები
უფსკრულებისკენ დაქანდნენ,
ისევ ის ცოდვა გვინელებს
რაც ვივაგლახეთ აქამდე.

სისხლის წვეთებით ყვავილობს
შუბლზე გვირგვინის ეკალი.
ქვითინებს დედა უფლისა –
ღვთივკურთხეული მზე-ქალი.

დადუმებულმა გოლგოთამ
სიკვდილის მწუხრი მოისხა,
ბოლოჯერ ამოიფშვინა
ვარდმა ფურცელთა
ჭკნობისას.
– ჩემია ძე საყვარელი! –
ცათა მიღმიდან მოისმა,
შუბნაძგერები ნათელი
ჯვრიდან რომ გარდამოიხსნა.

რამდენმა გადიგრიალა,
ავზედითად რომ ღელავდნენ –
ტალღებმა წუთისოფლისამ,
შობიდან ამაღლებამდე.

რამდენჯერ გახმა იმედი
ჩამოტეხილი ტოტივით,
ხან ავოზს წუთისოფელი,
ხან დარდიანი მოგტირის.

კვერო,
ობოლი ქვეყნისა,
აქამდე რატომ ვერ ცხვები,
თავზე რად დაგტრიალებენ
მენელსაცხებლე მერცხლები.

საით ხარ?
ვერ გამოკვალე
გზაწვრილი, ჩვენსკენ სავალი,
გათენდი თუ გათენდები –
მესამედ ყივის მამალი!

გახსნეს კარიბჭე!
გაბრწყინდი!
გეპკუროს მადლი ლოცვისა,
მარიამ მაგდალელის და
მარიამ იაკობისა!

**ვანო ჩხიკვაძე**

3 მაისი, 2023

# „თორაძის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი“

**საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, „თორაძის ფონდთან“ და ფონდთან „ქართული გალობა“ თანამშრომლობით, „თორაძის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი“ დაფუძნდა.**

ფესტივალი დიდი ქართველი პიანისტისა და პედაგოგის, ალექსანდრე (ლექსო) თორაძისა და მამის, ლეგენდარული კომპოზიტორის, დავით თორაძის ხსოვნას ეძღვნება.

ფესტივალის პროგრამისა და საინტერესო სიახლეების შესახებ ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში გამართულ წარდგინებაზე კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა **თეა წულუკიანმა,** „თორაძის ფონდის“ პრეზიდენტმა **ნინო თორაძემ,** ფონდის „ქართული გალობა“ ხელმძღვანელმა **ნანა გოთუამ,** ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელმა, პიანისტმა **ედიშერ სავიცკიმ** და ფესტივალის დირექტორმა **თინათინ რუხაძემ** ისაუბრეს.

მოწვეულ სტუმრებს თორაძეების ოჯახის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ფოტოგამოფენის ხილვის საშუალებაც ჰქონდათ. ფესტივალი თავს მოუყრის კლასიკური მუსიკის მსოფლიო ვარსკვლავებს და ის ქართველი ახალგაზრდა მუსიკოსებისთვის განვითარების კიდევ ერთი შესაძლებლობა იქნება.




**„თორაძის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი“ ყოველწლიურად საქართველოში ჩატარდება. წელს კი პირველად, 30 მაისიდან 7 ივნისის ჩათვლით გაიმართება და შთამბეჭდავი კლასიკური თუ ფოლკლორული კონცერტების გარდა, საინტერესო ლექციებისა და მასტერკლასების მასპინძელიც იქნება, რომლებსაც მსოფლიოს წამყვანი მუსიკოსები ქართველი სტუდენტებისთვის ჩაატარებენ. ფესტივალის ფარგლებში, ნიჭიერი ახალგაზრდებისთვის სტიპენდიები დაწესდება.**

# ახალი მულტიმედიური გამოფენა დიდი კლასიკოსის შესახებ



**კონსტანტინე გამსახურდიას დაბადებიდან 130 წლის იუბილეს აღსანიშნავად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულმა არქივმა საკუთარ ვებგვერდზე მულტიმედიური გამოფენა მოამზადა.**

გამორჩეული საზოგადო მოღვაწის შესახებ ეროვნული არქივი მრავალფეროვან მასალას ინახავს. მულტიმედიური გამოფენა აერთიანებს არქივში მწერლის შესახებ დაცულ ფოტოებს, წერილებს, ავტოგრაფებს, აუდიოჩანაწერებსა და ფრაგმენტებს დოკუმენტური ფილმიდან „კონსტანტინე გამსახურდია“.

# „ფრესკას“ თურქული ტურნე და გაოცებული „ჩვენებურები“

**ხაშურის მუნიციპალიტეტის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „ფრესკა“, მეზობელი თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ორდუში თურქეთის შავი ზღვის აუზის ჟურნალისტთა ასოციაცია „19 სექტემბრის“ ხელმძღვანელობის პატრონაჟით გამართული სამდღიანი გასტროლიდან დაუჯერებელი წარმატებებით დაბრუნდა.**

ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი ელენე რატიანი, ქორეოგრაფ **გიორგი რატიანთან,** ანსამბლის წევრებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და ოპერატორთან ერთად, თურქეთის რესპუბლიკაში ქ. ორდუს მერიისა და გუბერნიის ხელმძღვანელობის მიწვევით .ანსამბლს ბათუმში ღონისძიების პარტნიორი და საინფორმაციო მხარდამჭერი ტელეკომპანია „ტვ12-აჭარას“ გენერალური დირექტორი, ქართული კულტურის რაინდი **ჯემალ მეგრელიძე,** პროექტის რეჟისორი **რევაზ ბაინაზიშვილი** და „ტვ12-აჭარას“ გადამღები ჯგუფი შეუერთდა, რომელიც „ფრესკას“ უცხოური ტურნეს შესახებ სპეციალურ გადაცემას ამზადებს.ტურნეს ფარგლებში, ხაშურელ სტუმრებს თურქმა მასპინძლებმა დაუვიწყარი დღეები აჩუქეს, საინტერესო და ამაღელვებელი გახლდათ ოფიციალური სამთავრობო შეხვედრები ორდუს რეგიონის ჰვალეჰ გუბერნიასა და ქ. ორდუს მერიაში.



შეხვედრებზე ანსამბლ „ფრესკას“ სამხატვრო ხელმძღვანელმა ელენე რატიანმა მასპინძლებს გულთბილი დახვედრისთვის მადლობა გადაუხადა და სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

განსაკუთრებით საპასუხისმგებლო და დაუვიწყარი გახლდათ „ფრესკას“ შემოქმედებით ცხოვრებაში, ქ. ორდუს ათა თურქის სახელობის სახელმწიფო კულტურის სასახლეში დაგეგმილი კონცერტი, რომელზე დასწრების მიზნით არა მარტო ორდუში მცხოვრები, არამედ მეზობელ ქალაქებში მცხოვრები „ჩვენებურები“ ჩავიდნენ, დარბაზში მაყურებლის ტევა არ იყო, ადგილობრივი პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები ქართული საცეკვაო ხელოვნების ხელთუქმნელმა სილამაზემ აღგვაფრთოვანა. თურქეთის პრესა და ტელევიზია „ფრესკას“ წარმატებულ კონცერტზე საუბრობს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ე

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 — ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 19 მაისს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.5638; ევრო - 2.7925;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2135;
100 რუბლი - 3.3428; თურქული ლირა - 0.1273;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4975;
1000 სომხური დრამი - 6.5931

**ამინდი 17 მაისისთვის**

აღმოსავლეთი საქართველო:

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარი - | ღამე | +6, | დღე +24 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +2, | დღე +23 |

დასავლეთი საქართველო:

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარი - | ღამე | +8, | დღე +24 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +5, | დღე +24 |
| თბილისი: | ღამე | +11, | დღე +24 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge